საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი, 2015 წელი.

№226 (7871)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

რელიგიის კი არა, ბოროტი ადამიანების ნამოქმედარი

საქართველოს საპატრიარქოში მუფთებთან შეხვედრა გაიმართა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარესთან ერთად ტერორიზმის საფრთხეები და ბოლო დროს რუსეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობები განიხილა და აღნიშნა, რომ რელიგიას ამ ნეგატიურ მოვლენებთან კავშირი არ აქვს.

„ორი კვირის წინათ ვთქვი, რომ ამ ნეგატიურ მოვლენებთან რელიგიას არა აქვს კავშირი და ეს თვითონ ბოროტი ადამიანების მოქმედებაა. ამან ძალიან დიდი გავლენა და მნიშვნელობა იქონია. ჩემთან მოვიდა თურქეთის ელჩი და ამის გამო მადლობა გადამიხადა. ასევე მოვიდა აზერბაიჯანის ელჩი და მანაც მადლობა მითხრა. ასე რომ, ძალიან დროულად იყო ის ჩემ მიერ ნათქვამი, რომ მუსლიმანური რელიგია და ნებისმიერი რელიგია არ მისცემს ტერორისტებს იმის საშუალებას, რომ უდანაშაულო ხალხი დახოცონ“, — განაცხადა ილია მეორემ და საფრთხეების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე მყოფთა მოსაზრებებით დაინტერესდა.

„თქვენ თქვით, რომ ისლამი არაფერ შუაშია. ტრადიციული ისლამი ყოველთვის სიმშვიდეს მოიცავს, ურთიერთსიყვარულს, ურთიერთდახმარებას. თქვენს სიტყვებში ეს ყველაფერი გამოჩნდა“, — მიუგო საქართველოს მუფთიმ ბეგლარ ქამაშიძემ საქართველოს პატრიარქს და მადლობა გადაუხადა.

როგორც შეხვედრის შემდეგ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძემ ჟურნალიტებს განუცხადა, ორივე მხარე მზადაა, არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში ერთობლივად იმოქმედოს.

„დიალოგის ფონზე დემონსტრირება მოხდა იმ ტოლერანტობისა და თანამშრომლობისა, რაც ყოველთვის არსებობდა. მუსლიმი თემისგანაც მოხდა დადასტურება იმისა, რომ საქართველოს ეკლესიასთან და სახელმწიფოსთან ერთად არსებული გამოწვევის ფონზე ერთობლივად იმოქმედოს ქვეყნის საკეთილდღეოდ“, — განაცხადა ზაზა ვაშაყმაძემ.

ირაკლი ღარიბაშვილი:
დიდი იმედი მაქვს, ლევილის მამული ქართველ ხალხს დაუბრუნდება

2

ჯახა გოგოლაშვილი:
გვჭირდება სტრატეგია, რომ უსაფრთხოების ძიებაში ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ არ აღმოვჩნდეთ

4

რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები

ჩინური „ერთში-ერთის“ დასასრული

6

უმოქმედობის შემთხვევაში, კლიმატური ცვლილებები მთელ მსოფლიოში გამოიწვევს ტოტალურ და არაპროგნოზირებად შედეგებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის (COP21) მონაწილეებს მიმართა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლა საფრანგეთში მომხდარ ტერორისტულ აქტზე საუბრით დაიწყო და საფრანგეთის პრეზიდენტს და ფრანგ ხალხს მიუსამძიმრა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, პარიზის ტრაგიკულმა მოვლენებმა მთელ მსოფლიოზე და საქართველოზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

„ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ასეთ მძიმე ვითარებაში თქვენი ხალხის უპრეცედენტო თავშეკავებამ, სიმტკიცემ და სიმხნევემ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი. პარიზს ყოველთვის მივიჩნევდი მეორე სახლად. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდებული ქალაქი და ქვეყანა გაუძლებენ ბოროტი ძალების თავდასხმებს, რომელთა მიზანიცაა, გაანადგურონ ყოველივე ის, რის აშენებასაც ჩვენ, ამ დარბაზში შეკრებილნი, ვცდილობთ. გარწმუნებთ, ამ ძნელბედობის ჟამს მე და ქართველი ხალხი თქვენ გვერდით ვდგავართ და მზად ვართ ნებისმიერი სახის დახმარებისთვის“, — განაცხადა პრემიერმა.

ტერორიზმი არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ არსებობს გამოწვევები, რომლებსაც ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება, — აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი და საერთაშორისო საზოგადოების ერთიანობის, თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობს.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს, როდესაც ტერორისტები ცდილობენ საზოგადოების დაყოფას არა მხოლოდ პარიზში, არამედ ლიბანში, მალიში, ეგვიპტეში, ნიგერიაში, თურქეთში, ტუნისსა და მსოფლიოს სხვა წერტილებში, მნიშვნელოვანია ერთად დგომა იმ პროგრესის დასაცავად, რომელსაც მსოფლიომ ბევრ სფეროში მიაღწია.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, სერიოზული გამოწვევების ფონზე, მხედველობაშია მისაღები გრძელვადიანი მიზნები. ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ მხარეები კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებით და ამბიციურ შეთანხმებას მიაღწევენ, ვინაიდან, უმოქმედობის შემთხვევაში, კლიმატური ცვლილებები მთელ მსოფლიოში გამოიწვევს ტოტალურ და არაპროგნოზირებად შედეგებს, რითაც საფრთხე დაემუქრება მილიონობით ადამიანის ცხოვრებას.

„სწორედ დღეს არის მოქმედების დრო. არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული კლიმატური ცვლილებებისგან. საქართველოს რთული მთიანი ტოპოგრაფიის გამო ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ხშირია სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, მეწყერი და ღვარცოფი. გავიხსენებ ივნისში ჩვენს დედაქალაქში მომხდარ წყალმოვარდნას, რომელმაც 19 კაცის სიცოცხლე შეიწირა და გაანადგურა თბილისის ცენტრი. გარდა ამისა, ზღვის დონის აწევამ გამოიწვია ქარიშხლებისა და სანაპიროს ეროზიის ინტენსიფიკაცია, რამაც შედეგად მოიტანა სანაპიროებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

უმოქმედობის შემთხვევაში, კლიმატური ცვლილებები მთელ მსოფლიოში გამოიწვევს ტოტალურ და არაპროგნოზირებად შედეგებს

(პირველი გვერდიდან)

პრემიერ-მინისტრის თქმით, არსებულ ვითარებაში, საქართველოს მთავრობა მზად არის, გააათმაგოს ძალისხმევა გარემოს დასაცავად.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საქართველო კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლაში ნამდვილი ლიდერია, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით განახლებადი ენერგიის გამოყენებისა და ექსპორტის გათვალისწინებით.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა კლიმატური ცვლილებების შემცირებისკენ მიმართული მოქმედების გააქტიურებისადმი და აღნიშნა, რომ **„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული“** დოკუმენტი ითვალისწინებს გამონაბოლქვის 15-25-პროცენტით შემცირებას 2030 წლისთვის. პრემიერის თქმით, 2021-2030 წლების კლიმატთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც მომავალ წელს შემუშავდება, განსაზღვრული იქნება, როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს საქართველომ და რა სახის საერთაშორისო მხარდაჭერა დასჭირდება ამ პროცესში.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა ეროვნულ საკანონმდებლო დოკუმენტებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია კლიმატური ცვლილებების საკითხები:

— ეროვნულ სატყეო სტრატეგიაში მხარდაჭერილია მეტყევეობის მდგრადი მართვა და ტყეების აღდგენა;

— სოფლის მეურნეობის ახალ ეროვნულ სტრატეგიაში შესულია თავი „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ“;

— საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ამჟამად მუშაობს ენერგოეფექტიანობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე;

პრემიერის შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო, უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის წყალობით, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად განახლებადი ენერგორესურსების 80 პროცენტს იყენებს.

„საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში ჰიდროელექტროენერგიის პოტენციალისა და მტკნარი წყლის მარაგის მოცულობის კუთხით. ამ ბუნებრივ რესურსებს სარგებელი მხოლოდ საქართველოსთვის არ მოაქვს, რადგანაც ჩვენ ვცდილობთ ამ განახლებადი ენერგიის წყაროს გაზიარებას მთელი რეგიონისთვის.

ჩვენ უკვე ვახორციელებთ ჰიდროენერგეტიკული პროექტების შედეგად მიღებული ელექტროენერგიის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში და ვახორციელებთ გეგმებს ამ ექსპორტის გაზრდისა და რეგიონალური ელექტროენერგიის სისტემის გაზრდის მიზნით, რათა ელექტროენერგიის დისტრიბუცია უფრო ეფექტიანი/ეკონომიური გახდეს“, — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ გარდა ამისა, განიხილება რამდენიმე პროექტი მტკნარი წყლის დიდი მარაგის ტრანსპორტირებისთვის იმ ქვეყნებში, სადაც მისი ნაკლებობაა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განახლებადი ენერგორესურსების განვითარებას ენერგეტიკაში და ამ მიზნით ახალი სტრატეგიაც შეიმუშავა

პრემიერის თქმით, ეს ინიციატივები ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში კიდევ უფრო გაძლიერდება. პრემიერ-მინისტრმა ასევე განსაკუთრებით აღნიშნა ის როლი, რომლის შესრულებაც ქალაქებს კლიმატური ცვლილებების ეფექტიანი შემცირების კუთხით შეუძლიათ.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, კონფერენციაზე მიღწეული იქნება ახალი საერთაშორისო შეთანხმება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება საკმარისად ამბიციური, იმისთვის, რომ უზრუნველყოს გლობალური დათბობის 2-გრადუსიანი მაქსიმალური მაჩვენებლის ქვევით შენარჩუნება.

„ამ შეთანხმების მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. უთანხმოება წარუმატებლობის ტოლფასი იქნება. გარწმუნებთ, საქართველო, როგორც ნამდვილი ლიდერი, გააგრძელებს შესაბამის საქმიანობას და მდგრად მომავალზე ზრუნვის საქმეში იქნება თქვენი სანდო და ამბიციური პარტნიორი, რომელიც იცავს ჩვენს საერთო კლიმატსა და გარემოს“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა კონფერენციის მონაწილეებს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველო ნატოს წევრი გახდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს მინისტერიალს გამოეხმაურა, რომელიც ბრიუსელში გუშინ გაიმართა.

მთავრობის მეთაური იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება.

„ეს შეიძლება იყოს ხვალ, ზეგ ან მაზეგ — ამის დღეს განსჯა საკმაოდ რთულია, ვითვალისწინებთ რა იმ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით, — განუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს პარიზში.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა ელოდება ნატოს ვარშავის სამიტს და ამ ეტაპზე მოსახლეობისთვის განსაკუთრებული მოლოდინების შექმნა არ სურს.

„ეს არის ნატოს გენერალური მდივნის და პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციაც, რომ მოსახლეობა წინასწარ არ შევიყვანოთ შეცდომაში, ან ერთმანეთს არ შევუქმნათ მოლოდინები, იმედები და შემდეგ არ გავუმტყუნოთ. საჭიროა, მშვიდად მივყვეთ პროცესებს, რაც ჩვენი მხრიდან არის გასაკეთებელი, ზედმიწევნით კარგად ვაკეთებთ, არ გვაქვს არავითარი ჩამორჩენა“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო მიჰყვება უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის გეგმას, რომელიც დროშია გაწერილი და ყველა ვალდებულება ეფექტურად სრულდება. როგორც პრემიერმა აღნიშნა, დანარჩენი დამოკიდებულია გლობალურ ვითარებაზე, რომელიც არსებობს ფართო რეგიონში.

„დღეს მსოფლიო განსხვავებულია, ვიდრე იყო თუნდაც გასულ წელს. ყველა რეალური ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ და არ მოვატყუოთ ერთმანეთი. ჩვენ სრულად მივყვებით დასახულ გეგმას, მაგრამ რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, ვერ გავაკეთებთ. რაც არის ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების, თავად ნატოს გადასაწყვეტი, ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ. ამიტომ მინდა, ყველას მოვუწოდო, ამ საკითხზე არ არის საჭირო ზედმეტი აჟიოტაჟის და ცრუ მოლოდინების შექმნა. ჩვენ მშვიდად უნდა მივყვეთ პროცესს და ყველამ თავისი საქმე აკეთოს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„დიდი იმედი მაქვს, ლევილის მამული ქართველ ხალხს დაუბრუნდება“

ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ბოლო ეტაპზეა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს პარიზში განუცხადა.

პრემიერის თქმით, რამდენიმე თვის წინათ მთავრობამ, ტექნიკური დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, დამატებითი თანხები გამოყო.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

„დიდი იმედი მაქვს, ჩვენი წინაპრების შთამომავლები ამ პროცესს დაასრულებენ და ლევილის მამული დაუბრუნდება ქართველ ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოვიყენებთ ამ მამულს. ჩემი დავალებით, საინტერესო კონცეფცია შემუშავდა საფრანგეთში ჩვენი საელჩოს მიერ, რაშიც ასევე ჩართულია დიასპორის სამინისტრო. ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც გადმოცემის პროცედურები მოგვარდება, მამული მივმართოთ ახალგაზრდებისთვის. ლევილი უნდა გახდეს ქართული კულტურის ცენტრი საფრანგეთის შუაში. მინდა, დავადასტურო ჩვენი სრული მზადყოფნა, რომ ეს პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე. ის, რაც არ გაკეთებულა 25 წლის განმავლობაში, ჩვენ რამდენიმე თვეში გავაკეთეთ“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ეს არის ტერორისტული აქტი თითოეული ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ

საძართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარიზში, ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

მთავრობის მეთაური ვოლტერის ბულვარზე კაფე „ბატაკლანთან“ იმყოფებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანგ ხალხს საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

„ამ საშინელი ტრაგედიის შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა. ჩვენ ვდგავართ და ყოველთვის ვიდგებით ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის ხელისუფლების გვერდით, ვინაიდან ძალიან კარგად გვახსოვს, მაშინ, როდესაც ჩვენ გვიჭირდა 2008 წელს, საფრანგეთი იყო ქვეყანა, რომელმაც განსაკუთრებული მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა ჩვენი ქვეყნის მიმართ. საფრანგეთი არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფო და ის, რაც მოხდა ამ ადგილას, არის საშინელი ტრაგედია. ეს არის ტერორისტული აქტი თითოეული ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ ვგმობ ამ ბარბაროსულ აქტს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს, მთელი მსოფლიო არის ერთ მუშტად შეკრული, დარაზმული იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ისეთ ბოროტებას, როგორიც არის ტერორიზმი. კიდევ ერთხელ გამოვხატავ მწუხარებას პარიზში დაღუპული ადამიანების გამო“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

◎ ექსპერტის შეფასება

ევროპის სტუმართმოყვარეობა შეიძლება მისთვის მზარდი საფრთხის შემცველი გახდეს!

„ტერორიზმი XXI საუკუნის ჭირია. ცხადია, წინა საუკუნეებშიც იყო ასეთი მოვლენები, მაგრამ მაშინ არ არსებობდა ბირთვული იარაღი. ახლა კი, ის ცხელი კერები, რომლებიც შეაშფოთებს მთელ დედამიწას, საკმარისზე მეტია“ — აღნიშნული განცხადება „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილიმა გააკეთა.

ცისკარიშვილმა ყურადღება გაამახვილა სირიელი მიგრანტების მხრიდან წამოსულ საფრთხეებზე. მისი განმარტებით, სირიელი ლტოლვილების შეფარება შესაძლოა ევროპას ძვირად დაუჯდეს:

...ცხადია, ყველაზე დიდი ყურადღება სრულიად სამართლიანად ეთმობა „ისლამური სახელმწიფოს“

ქმედებებს. ძალიან რთულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმის ატანა, რასაც იტანენ სირიაში. მოსახლეობისგან იცლება ეს ქვეყანა. მაგრამ ის სტუმართმოყვარეობა, რაც ევროპამ გამოიჩინა, შეიძლება სწორედ ევროპული სახელმწიფოებისთვის უფრო მზარდი საფრთხის შემცველი იყოს და აისახოს ევროპული განვითარებული ქვეყნების პერსპექტივაზე. განსაკუთრებით, კონკრეტული პირების მიმართ არის ასეთი საფრთხე, რომლებიც დღეს უმაღლეს თანამდებობებს იკავებენ ევროპის ქვეყნებში. არც ისე შორს არის მათი შემდგომი არჩევნები და თუ ვნახავთ, რა განწყობებია პასუხად ევროპული მოსახლეობისგან იმ დაუფასებელ სტუმართმოყვარეობაზე, რასაც ვხედავთ, ცხადია, გადაწყვეტილებების მიმღებთა ცვლილება ამ ქვეყნებში რეალური იქნება. იგივე ქალბატონი მერკელი 2017 წელს შეეცდება, კვლავ დაიკავოს კანცლერის თანამდებობა გერმანიაში. მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ სირიელი და სხვა წარმოშობის დევნილთა დასაბინავებლად ფართოდ გაღებული კარი მის კარიერას ავნებს. ნუ დავივიწყებთ, რომ მიუხედავად აკრძალვებისა, ქვეცნობიერად ძალიან მცირე ჯგუფში, მაგრამ მაინც, ნეოფაშიზმის წამოტივტივება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ ქვეყანაში ვეღარ ფლობ სიტუაციას და ძალიან მარტივად დასანახია ის, რომ სიკეთით შემოპატიჟებული ადამიანები შეიძლება გახდნენ მტრები იმ ქვეყნისა, რომელმაც ისინი შეიფარა“, — განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲮᲔᲕᲐᲡ?

ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲘ: ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ორ მეზობელს, რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური დაპირისპირება გრძელდება მას შემდეგ, რაც თურქეთმა 24 ნოემბერს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო. კრემლის პრესმდივანმა გამოაცხადა, რომ პარიზში გლობალური კლიმატისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი არ აპირებს შეხვდეს თურქ კოლეგა რეჯეპ ტაიპ ერდოღანს იმის გამო, რომ თურქეთი ბოდიშს არ იხდის ინციდენტისთვის.

ბევრი ექსპერტის აზრით, დაძაბულობის განმუხტვა რთული ამოცანა იქნება თუნდაც იმის გამო, რომ ორი ლიდერი ერთმანეთს ჰგავს მართვის ავტორიტარული სტილით და, თავისი წარმოსახვით, ძლიერ ლიდერად, რომლის მთავარ ღირსებებსაც არ მიეკუთვნება უკან დახევის უნარი.

პუტინიც და ერდოღანიც სახელმწიფოს ლიდერებად აღზევდნენ დაპირებით, რომ თავის ხალხს დაკარგულ დიდებას და ტრადიციული ფასეულობებით სიამაყის გრძნობას დაუბრუნებდნენ. ორივეს ახასიათებს მართვის ავტორიტარული სტილი, არც ერთი არ სწყალობს ოპოზიციას. ორივე გახდა თავისი ქვეყნის სახე სახელმწიფოს მართვის ერთპიროვნულ ლიდერობასთან გაიგივებით.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი მართლაც ჰგვანან ერთმანეთს და ეს მსგავსება მათ წლების მანძილზე ეხმარებოდა ერთმანეთის გაგებაში...

„ორივეს აქვს იმპერიული ნოსტალგიის შეგრძნება: პუტინს — საბჭოთა კავშირის, ერდოღანს — ოსმალეთის იმპერიისადმი ნოსტალგიის. ორივე მკაცრი რეპრესიებით რეაგირებს კრიტიკაზე. ორივემ კონტროლი დაამყარა მედიაზე და საკუთარ მოსახლეობას (მცირეოდენი განსხვავებების მიუხედავად) წარმოუდგება ძლიერი პიროვნების იმიჯით“, — ამბობს ვაშინგტონსა და სტოკჰოლმში დაფუძნებული „აბრეშუმის გზის კვლევების“ პროექტის მონაწილე, პოლიტოლოგი გარეტ ჯენკინსი. ერთი წელიც არ გასულა, რაც პუტინმა ერდოღანი მართლაც „ძლიერ პიროვნებად“ მოიხსენია...

ავტორიტარული მმართველობისადმი მიდრეკილება ორივე შემთხვევაში წლებთან ერთად ძლიერდებოდა. პუტინი, ფაქტობრივად, 16 წელი დგას ხელისუფლების სათავეში, ხოლო ერდოღანი — 12 წელი.

„ორივე, გარკვეულწილად, მე-19 საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის წესებით უფრო თამაშობს, ძალთა ბალანსის, მოგება-წაგების ცნებებით — როცა შენ იმარჯვებ და მეორე მხარე მარცხდება. ვერ წარმომიდგენია, რახან ასეთი ხალხია, ახლა უკან დახევა შეძლონ“, — ასე ფიქრობს სამხედრო ექსპერტი, ლონდონის სამეფო კოლეჯის თანამშრომელი ბილ პარკი.

რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება მიჩნეულია ნატოსა და რუსეთს შორის ერთ-ერთ უმძიმეს ინციდენტად ცივი ომის დასრულების შემდეგ. პოლიტოლოგ გარეტ ჯენკინსს უჭირს პროგნოზის გაკეთება, როგორ განვითარდება მოსკოვის და ანკარის ურთიერთობა: **„იმედია, დაპირისპირება არ გადაიზრდება ნამდვილ ომში, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა ვიხილავთ ცივ ომს რუსეთსა და თურქეთს შორის. პუტინი მას ამას არ აპატიებს და რუსეთის ხელში ბევრი ბერკეტია საიმისოდ, რომ საქმე ძალიან გაურთულოს თურქეთს“.**

ინციდენტის მომდევნო დღეს, 25 ნოემბერს, ორივე ქვეყანამ მიანიშნა, რომ თავს არიდებს დაძაბულობის გამწვავებას, მაგრამ, ორი პრეზიდენტის იმიჯის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია, აღდგეს ადრინდელი კარგი ურთიერთობა — ორივე მხარისათვის მომგებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის მიუხედავად.

რადიო „თავისუფლება“

© ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲪ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲕᲘᲗ ᲑᲠᲛᲐᲐᲝ

ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲓᲘᲝᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ შორის მიმდინარე დაპირისპირებამ, ბუნებრივია, სოციალური ქსელიც „ააფეთქა“. საზოგადოება დაიყო „პუტინისტებად“ და „ერდოღანისტებად“, მიდის გარჩევ-გამორჩევა იმისა, თუ რა და რა ოდენობის დანაშაული მიუძღვის რუსეთს საქართველოს წინაშე და თურქეთს საქართველოს წინაშე... არ ავიწყდებათ არც ის ამბავი, რის გამოისობით საქართველო დღეს არსებობს, როგორც შემდგარი სახელმწიფო...

ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲘ ასეთი ხმაურიანი დუელი გაიმართა „რუსთავი-2“-ის დირექტორ ნიკა გვარამიასა და „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორ ზვიად ტომარაძეს შორის...

„ვუყურებ ვოქსპოპს შაბათის კურიერში თემაზე, რამდენად ადეკვატური იყო თურქეთის რეაქცია რუსეთის მიერ საჰაერო სივრცით დარღვევაზე. ჩემი დაკვირვებით:

1. ქართველი ქალები (საბჭოთა კავშირში დაბადებულები) ბევრად გამბედავად გამოთქვამენ რუსეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც რაც უფრო ხანდაზმულები არიან, მით უფრო შეშინებულები გახლავენ.

2. კახეთი და აჭარა განსაკუთრებით პრორუსულ განწყობებს ავლენენ. ჰოდა, ეს დაბალრენტაბელური და დაბალხარისხიანი ყურძენი და მანდარინი (რომლის გასაღების ერთადერთ ბაზრად განიხილება რუსეთი) არა მარტო ეკონომიკური დაცემის აგენტებია, არამედ სტრატეგიული საშიშროებისაც. დროზე თუ არ მოვიშორეთ, არც ეკონომიკას ეშველება და არც უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას.

P. S. და ამ დროს, უკვე თითქმის მოშორებულ ჩაის, ისევ გაცოცხლებას უპირებს მოქმედი მთავრობა“, — ასეთი აზრი გამოაქვეყნა ნიკა გვარამიამ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

„სოციალურ ქსელში ნომინაცია რომ არსებობდეს: **„წლის ყველაზე იდიოტური სტატუსი“,** 2015 წელს პირველ ადგილს ვერავინ შეგეცილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა დარჩენილი, — უპასუხა ზვიად ტომარაძემ, — ნამდვილად არ მეგონა საქართველოში ვინმესთვის (მით უმეტეს ინტელექტუალისთვის) იმის ახსნა თუ დამჭირდებოდა, რას ნიშნავს ქართველი კაცისთვის ვაზი. უამრავი რამ შეიძლებოდა ვაზის შესახებ დამეწერა, მაგრამ გიორგი ლეონიძის 1962 წლის სტატიაც სრულიად საკმარია: **„ქართველი კაცი და ქართული ვაზი ერთმანეთის მოჭირნახულენი არიან. ქართულმა ვაზმა ქართველ კაცთან ერთად ზიდა ისტორიის სიმძიმე. გარემომდგომი მტერი — თურქი, ხაზარი, არაბი, მონღოლი, სპარსი, ლეკი უმოწყალოდ ჩეხდა, ბუგავდა, სრესდა, თქერავდა ვაზს, — როგორც ჩვენი ცხოვრების მთავარ წყაროს, — მაგრამ ნახანძრევ ნაცარში მაინც ღონეს იკრებდა დაბუგული, გასრესილი ქართული ვაზის ფესვი. ქართულ ვაზს არასდროს არ დაუძინია. ტყუილი ნათქვამი როდია, — „ჯაგრცხილა, რქაწითელი და გლეხიკაცი ყველაფერს გაუძლებსო“. აკი კიდევაც გაუძლო ისტორიის ქარტეხილს ქართულმა ვაზმა! ქართველ კაცს არც შეეძლო ცხოვრება უვაზოდ. მისი ეკონომიური მნიშვნელობა დიდი იყო და არის დღესაც. ქართველი ერი ღვინით იშორებდა დამპყრობელთა მიერ დადებულ მძიმე ხარკს. სპარსეთსა და ოსმალეთს საუკუნეების განმავლობაში მუქთად გაჰქონდათ ქართული ღვინო! „ღვინო ქართველი კაცის ხმალია“-ო, იტყოდნენ ძველად და მართლაც, ლხინში, ჭირში, ომში, შრომაში, სიკვდილზე ულვინობა საქართველოში შეუძლებელია! ჩვენი მეურნე მამაშვილურად უვლის ვაზს, „შვილიდარს“ ეძახის, ე. ი. შვილის დარს, მასავით საყვარელს. მართლაც, შვილივით აყვანილი ჰყავს ვაზი და ამაზე მეტი სიყვარული-ღა იქნება? ამიტომაც არის, რომ იგი შვილივით იფიცავს ვენახს. „ისე არ გამიწყრეს ჩემი ვენახის მადლი“, „ისე შემეწიოს ვაზის დედა“, ვაზის ამჩეხი და კაცის მკვლელი ქართველი კაცისათვის ერთია!**

დაე, მშვიდობიან ცის ქვეშ ჰყვაოდეს მუდამ ქართული ვაზი!“

ახლა მეორე საკითხზე გადავიდეთ, ქვეყნის კუთხეებად ასე ბრიყვული დაყოფა (აჭარა და კახეთი) და მათი პრორუსულ ორიენტაციად წარმოჩენა ფრიად მიუღებელია. თუმცა ასეც რომ იყოს, რატომ არ დაინტერესებულხარ რა არის ამის მიზეზი? **ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲨᲔᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲔᲜ „ᲡᲐᲫᲛᲐᲪᲐᲪᲝᲨᲘᲐ“ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲫᲘᲜᲯᲐ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲘᲗᲕᲔᲜ ᲨᲔᲐᲖᲘᲖᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ!** ისე წარმოაჩინეთ, თითქოს ევროპა და ამერიკა მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის ლობისტი, ყოველგვარი ეროვნულობისა და მართლმადიდებლობის მტერი იყოს და არა კანონის უზენაესობის, სახელმწიფოებრივი შეგნების, კულტურის, ტექნოლოგიების, ეკოლოგიის, ბუნების მოვლის და ა. შ. სწორედ შენი „რუსთავი-2“-ის მეშვეობით ხდება ამ ყველაფრის ასე დამახინჯებულად წარმოჩენა! ან „რუსთავი-2“-ის რომელ სიტყვის თავისუფლებაზე და განსხვავებულ აზრზეა საუბარი, როდესაც ყოველდღე ერთი და იგივე „ხლისტური აზროვნების“ მქონე ადამიანების ცქერით დაღალეთ საზოგადოება და შავ სიაში გყავთ შეყვანილი განსხვავებული აზრის მატარებელი ადამიანები.

და, ბოლოს, მესამე საკითხი, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წელს 5 მილიარდ 735 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა! ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც ემიგრანტების ფულადი გადმორიცხვების მეშვეობით არსებობს. 2014 წელს ფულადმა გზავნილებმა 1.44 მილიარდი დოლარი შეადგინა (ქვეყნის მშპ—ის 8.7%). აქედან 49.2% რუსეთზე მოდის (709.23 მილიონი დოლარი).

2014 წელს ღვინის ექსპორტმა შეადგინა 180.7 მლნ. აშშ დოლარი. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთი (62%), უკრაინა (11%), ყაზახეთი (9%), ბელარუსი (4%), ჩინეთი (3%), პოლონეთი (2%), ლატვია (2%) და ლიტვა (2%). სპირტიანი სასმელების ექსპორტმა შეადგინა 95.2 მლნ. აშშ დოლარი. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: უკრაინაში (25%), რუსეთში (18%), საფრანგეთსა (11%) და ნიდერლანდებში (13%). ციტრუსის ექსპორტმა შეადგინა 14.7 მლნ. აშშ დოლარი. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (62%), უკრაინასა (21%) და აზერბაიჯანში (10%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღვინის და ციტრუსის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 9.9%-ია (ექსპორტში ვერ ჩაითვლება მსუბუქი ავტომობილები (517.8 მლნ დოლარი), რადგან ეს რეექსპორტია). მე მესმის, რომ ქართველი ერი ნაციონალური მოძრაობის წარმოსახვაში მოსამსახურე პერსონალად მოიაზრებოდა და არა მწარმოებლად, მაგრამ გონიერი ადამიანი მაინც უნდა ხვდებოდეს, თუ რას ნიშნავს ქვეყნის ექსპორტის თითქმის 10%-ის შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ „მოშორება“. კიდევ შეიძლება შემოდავება ყურძნის დაბალხარისხიანობაზე, ჩაის კულტურის გამოცოცხლებაზე, ნაცმოძრაობის მიერ რუსეთისთვის მიყიდულ ობიექტებზე, მაგრამ ამჯერად რაც დავწერე, ესეც საკმარისია.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს 20%, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისულელეები წამოვროშოთ. თუმცა ძველი ქართული ანდაზისა არ იყოს: „სიძულვილიც სიყვარულივით ბრმააო.“

ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივი საგამოძიებო ღონისძიების შედეგად ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან შესაძლო კავშირში ეჭვმიტანილი ოთხი პირი დააკავეს.

აღნიშნული პირების ბინების ჩხრეკისას, საგამოძიებო უწყებების თანამშრომლებმა ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები, ტექნიკა, ისლამურ სახელმწიფოს მიკუთვნებული დროშები და სხვა ნივთები ამოიღეს. განცხადება ამის შესახებ სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილემ ლევან იზორიამ გააკეთა.

„მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა რამდენიმე პირი, რომელებიც ემხრობიან ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას. გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 29 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ წარმოებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყველა მითითებულ მისამართზე ჩხრეკა ჩატარდა. ჩხრეკის შედეგად, ოთხი პირის საცხოვრებელი სახლებიდან ხელყუმბარები, ცეცხლსასროლი პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები და მეხსიერების ბარათები, კომპიუტერული მოწყობილობები, ინტერნეტ მოდემები, ნოუთბუქები, სხვადასხვა ლიტერატურა, ინფორმაციის მატარებელი ელექტრონული მოწყობილობები, სიდი და დივიდი დისკები და ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს მიკუთვნებული დროშები ამოიღეს. აღნიშნულ პირებს ბრალი წარედგინათ სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მეორე ნაწილით. დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირებისა და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტის დასადგენად მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები“, — განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ლევან იზორიამ.

გუშინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ისლამურ სახელმწიფოსთან შესაძლო კავშირის გამო დაკავებულ ოთხივე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

რა იქნება ხვალ?

როცა ლავირების უნარი განსაკუთრებით ფასეულია

გვჭირდება სტრატეგია, რომ უსაფრთხოების ძიებაში ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ არ აღმოვჩნდეთ

როგორ განვითარდება მოვლენები რეგიონში, რთულად პროგნოზირებადი ხდება, ამ ეტაპზე ცნობილია, რომ რუსეთი თურქული საქონლის იმპორტზე სანქციების დაწესებას გეგმავს. „რუსეთი და თურქეთი თუ არ მორიგდა, ყველა შეიძლება დაზარალდეს“,— განაცხადა პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ.

„ყველას იმედი გვაქვს, რომ განიმუხტება სიტუაცია და პოლიტიკოსები გონივრულად მიუდგებიან ვითარების მოწესრიგებას... მართლა ძალიან სახიფათო ვითარებაა. ისტორიული გამოცდილება ასეთია, განდენდებისთვის რუსეთს სურს, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაშიც დამოუკიდებელი მოთამაშის სტატუსით იყოს წარმოდგენილი და არა დასავლეთის მოკავშირედ?

— როდესაც კონფლიქტის მოგვარებაზეა საუბარი, იგულისხმება, რომ საბოლოოდ უნდა შეთანხმდნენ სირიასა და ერაყში ომის დამთავრებაზე, რაც თავისთავად, გულისხმობს „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურებას, რადგან უამისოდ რეგიონში მშვიდობა ვერ დაისადგურებს. მაგრამ, ამ საკითხის გადაწყვეტაში რეგიონში მოთამაშე ძალებმა ერთმანეთს ხელი არ უნდა შეუშალონ. სწორედ ამისთვისაა აუცილებელი თურქეთისა და რუსეთის მორიგება. შესაძლოა, ძველი ურთიერთობები ვერ აღადგინონ, მაგრამ კონფრონტაციამ საშიში ხასიათი არ უნდა მიიღოს, რათა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტი დასრულდეს.

მოგეხსენებათ, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას დასავლეთი დიდი ხანია, სერიოზულად აყენებს და ვფიქრობ, ამ ორი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ რაღაც კომპრომისები უნდა მოიძებნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება სიტუაცია, როდესაც დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს პირდაპირ არ ებრძვიან, მაგრამ რომელიმე პატარა სახელმწიფოში მათი ინტერესების ჭიდილი დიდხანს გრძელდება.

— ევროპის ტერაქტების შემდეგ ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებს პარტნიორობის გაძლიერება შესთავაზა, რაც გულისხმობს სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გაწერილია შესაბამისი ფინანსური რესურსიც, რომლის მიხედვითაც 2020 წლამდე პერიოდში სამეზობლო პოლიტიკის პროგრამებზე იქნება გამოყოფილი — 15 მილიარდი ევრო, რაც ევროკავშირის მთლიანი საგარეო ბიუჯეტის დაახლოებით 30%-ია. საქართველოს აქვს შანსი რაიმე ტიპის თანადგომა მიიღოს ამ ახალი პოლიტიკის ფარგლები?

— როდესაც მთელი მსოფლიო წაგებაშია, ძნელია, რამე სარგებელი მიიღოს ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, თუმცა საკითხავია, შეძლებს თუ არა საქართველო იმ რისკების შემცირებას, რომელიც საკმაოდ მრავალად არის მის ირგვლივ სხვადასხვა მიმართულებით. გარდა ამ რისკებისა, არსებობს რუსეთი, რომელმაც ნებისმიერ დროს შეიძლება ჩვენს მიმართ რაღაც მოიმოქმედოს.

რისკების შესამცირებლად მზა რეცეპტი, ბუნებრივია, არ მაქვს, მაგრამ არ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ რომელიმე მიმართულებით რისკი გაიზარდოს. თავისთავად, უნდა მივიღოთ ანტიტერორისტული კოალიციის საქმიანობაში მონაწილეობა, შევეცადოთ, ყველა იმ სახელმწიფოსგან მივიღოთ მაქსიმალური დახმარება, ვისაც შესაბამისი გამოცდილება და კავშირები აქვს.

გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს ჩვენი დაცულობის ხარისხი, ამისი უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, საკმაოდ ძნელია, მაგრამ შესაძლებელია ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დახმარებით.

რუსეთთან მიმართებაშიც არის კარგად დასამუშავებელი სტრატეგია იმისათვის, რომ უსაფრთხოების ძიებაში ისევ რუსეთის გავლენის ქვეშ არ აღმოვჩნდეთ — რაც უფრო იზრდება რისკები, მით მეტია შანსი, დათმობაზე წახვიდე და ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდე, როგორშიც არიან სომხეთი, შუა აზიის ქვეყნები, ბელარუსი.

მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ არ შევიდეთ რუსეთთან კონფრონტაციაში, თუმცა თავიდანვე ნათელი და გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენს ტერიტორიას ვერ გამოიყენებენ სამხედრო ძალის გასატარებლად ან მსგავსი მიზნებისთვის. რამდენიმე საკითხია, რომელშიც აუცილებელია ძალზე მკაფიო სტრატეგიის შემუშავება.

— რეგიონში განვითარებული სიტუაციის ფონზე საქართველოს ამ ეტაპზე აქვს ორი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. ერთია ვიზალიბერალიზაცია, მეორეა MAP-ის საკითხი. უნდა გვქონდეს თუ არა პროგრესის იმედი?

— რაც შეეხება ჩვენს მზადყოფნას, ამ მიმართულებით პროგრესი ნამდვილად არის — MAP-ის მისაღებად რაც არის საჭირო ტექნიკური თვალსაზრისით, საქართველოს შესრულებული აქვს. ასევე, ტექნიკურად შესრულებულია ყველა პირობა, რომელიც არის საჭირო ევროპის მიმართულებით უვიზოდ მიმოსვლისათვის. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნებისგან. სამწუხაროდ, არც ერთი და არც მეორე მიმართულებით, დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ამ მომენტისთვის საუკეთესო პერიოდი არ არის.

როდესაც ასეთი მაღალია დაძაბულობის მუხტი რუსეთსა და დასავლეთს შორის, რადგან თურქეთის უკან დასავლეთი მოიაზრება, ძნელია წარმოვიდგინოთ, ასეთ სიტუაციაში ნატომ რაღაც ისეთი მოიმოქმედოს, რომ გაზარდოს რისკი საქართველოსთან მიმართებაში. გამწარებული და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი რუსეთი მუდამ არაპროგნოზირებადია და რაღაც მომენტში, საქართველოს მიმართ აგრესია, სავარაუდოდ, შიდა მოხმარებისთვის, შეიძლება, გამოსავლად იქნას მიჩნეული.

როდესაც 2008 წელს რუსეთმა შეუტია საქართველოს, საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკოსებიც კი აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო პასუხი დასავლეთისთვის ნატოს გაფართოების, ასევე კოსოვოში განვითარებული მოვლენების გამო, ანუ რუსეთი პასუხს სცემს ნატოს მოკავშირე პატარა ქვეყანას დასავლეთის ქმედებაზე. ამიტომ არ არის გამორიცხული, MAP-ის საპასუხოდ რუსეთმა ყურადღება გადაიტანოს საქართველოზე ან თუნდაც, უკრაინაზე. ფაქტია, რომ ასეთი რისკები არის. ამასთან, კარგადაა გასააზრებელი MAP-ის მინიჭება საქართველოსთვის იქნება რაიმე სახის დახმარება თუ პირიქით — რისკების გაშიშვლება. ალბათ, ამაზე დაფიქრდებიან წევრი ქვეყნები. ბუნებრივია, მათ ბევრად მეტი ინფორმაცია აქვთ და ამის გათვალისწინებით მიიღებენ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ პროცესის მომხრე არიან — წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქმედო გეგმას არ მოგვცემდნენ. მაგრამ ამ ეტაპზე არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ბოლო პერიოდში გაზრდილი მიგრაცია ევროპაში. საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შემოღება დაკავშირებულია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, არამედ იმასთანაც, რომ ეს შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა ქვეყნების ან დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ ევროპაში შესაღწევად — დიდი ხანი არ არის, რაც საუბრობდნენ საქართველოს მოქალაქეების სირიაში გადასვლაზე. მსგავსი ფაქტები საქართველოსთვის არასასურველ პოლიტიკურ კლიმატს ქმნის. არ არის გამორიცხული, აღნიშნული გარემოებების გამო ამ ეტაპზე თავი შეიკავოს ევროკავშირმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, საბოლოო უარს — როგორც კი ცოტათი მაინც სტაბილური გახდება მდგომარეობა, შესაძლოა 2016 წელსვე, 2017 წელს კი აუცილებლად, ჩვენ შევძლებთ უვიზო მიმოსვლას ევროპაში.

ლალი ზირაძიშვილი

— თვითმფრინავის ჩამოგდება, — ამბობს იგი, **— არ იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც სიტუაცია დაიძაბა. თურქეთსა და რუსეთს შორის დიდი ხნის წინათ, უფრო სწორად, რუსეთის სირიაში შეჭრის შემდეგ დაიძაბა ვითარება — ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები აქვთ სირიასა და მთლიანად, ახლო აღმოსავლეთში თურქეთსა და რუსეთს.**

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ფართომასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყო სირიაში, პრაქტიკულად, მაქსიმალურად შეავიწროვა თურქეთის ინტერესები და სცენარი წაიყვანა იმ მიმართულებით, რომელიც თურქეთს აბსოლუტურად არ აწყობდა და დაძაბულობის მუხტი ამ ორ ქვეყანას შორის სულ უფრო მზარდი გახდა.

რუსეთმა ოთხჯერ თუ ხუთჯერ დაარღვია საჰაერო სივრცე, თურქეთი აფრთხილებდა, რომ განმეორების შემთხვევაში თვითმფრინავს ჩამოაგდებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთს აწყობდა ამ ეტაპზე თურქეთის პროვოცირება, ასევე, საკუთარი თავის ჩაყენება თითქოს, მსხვერპლის პოზაში და ამის საფუძველზე იმის გაკეთება სირიაში, რაც მას სურდა.

სირიაში რუსეთს სურდა განეთავსებინა არა მარტო საზღვაო ქვეითები, თავისი გემები და თვითმფრინავები, არამედ ანტისაჰაერო საშუალებებიც, რომლებიც გააკონტროლებდნენ თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთს და ხმელთაშუა ზღვისპირეთს. ეს რუსეთს აძლევს, პრაქტიკულად, ძალიან დიდ სამხედრო უპირატესობას ევროპასა და ნატოსთან მიმართებაში, ანუ რუსეთს ახლა უკვე საშუალება აქვს, ჩამოაგდოს ნებისმიერი თვითმფრინავი არა მხოლოდ სირიის თავზე, არამედ ხმელთაშუა ზღვის ნებისმიერ ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია, გააკონტროლოს ნატოს ხომალდები თუ ავიამზიდები — რაც მნიშვნელოვანია — ნატოს ეფექტიანობის შემცირებისკენ არის გადადგმული ეს ნაბიჯი. ამასთან, რუსეთს საშუალებას აძლევს, ილაპარაკოს გლობალური მოთამაშის პოზიციებიდან.

— ერთია, რა სურს რუსეთს, ხოლო მეორე — დასავლეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში. როგორი გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?

— კარგი იქნება, თუ კონფლიქტი ლოკალიზებული იქნება მხოლოდ სირიაში. სირიელი ხალხისთვის ეს, რა თქმა უნდა, საშინელებაა და მთელი მსოფლიოსთვისაც ძალზე ცუდია, მაგრამ ეს ნაკლებად უარესია, ვიდრე ის, რომ ეს ყველაფერი უდიდეს სახელმწიფოებს შორის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს.

ვფიქრობ, მოვლენებს ასეთი გაგრძელება არ მოჰყვება და ნატოც და გავლენის მქონე ყველა ქვეყანაც შეეცდება, რომ არ განვითარდეს კონფლიქტი რუსეთსა და თურქეთს შორის. ამასთან, შესაძლოა, რაღაც გადაწყვეტილებებიც იყოს მიღებული სირიასთან მიმართებაში.

— მოგეხსენებათ, სირია არ არის ერთადერთი პრობლემა. ეს ყველაფერი იმაზეც ხომ არ მიუთითებს, რომ შემდგომი დივი-

◎ ალიან-ჩალიანი

რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები

საძართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2015 წლის 26 ნოემბერს რუსეთის ფედერაციამ სოხუმის საოკუპაციო რეჟიმთან სამხედრო სფეროში მორიგი დოკუმენტი გააფორმა, კერძოდ, ხელი მოეწერა ე.წ. „შეთანხმებას“ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე.

როგორც საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ის არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს და, შესაბამისად, ნებისმიერი სახის მცდელობა, დაიდოს მასთან „შეთანხება“ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას და არის უკანონო აქტი, რომელიც არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა შეშფოთებას რუსეთის მხრიდან მორიგი პროვოკაციული ნაბიჯის გამო, რომელიც, ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციის სხვა ფორმებთან ერთად, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოსა და მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. ზემოხსენებული „შეთანხმება“ წარმოადგენს 2014 წლის 24 ნოემბერს ხელმოწერილი „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების“ შემადგენელ ნაწილს, რაც ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაცია, საერთაშორისო ვალდებულებების და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების სრული უგულებელყოფით, განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მცოცავი ანექსიის პოლიტიკას და ამგვარად საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

საქართველოს მთავრობის მოწოდებების მიუხედავად, დოკუმენტის გაფორმებით რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობები. აღნიშნული განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო მექანიზმების არარსებობისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებაზე უარის თქმის გათვალისწინებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს რუსეთის მორიგ უკანონო ქმედებას და მიიღოს შესაბამისი ზომები რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული არასტაბილური მდგომარეობის შემდგომი ესკალაციის პრევენციის მიზნით.

მედიანიუსი

ჯალათები – ადამიანის უფლებათა დამცველებად

ციკლიდან: „დროის იეროგლიფები“

დიქტატურა რომ დაემხობოდა რუმინეთში, ჰერტა მიულერი შეეცდებოდა გამოეთხოვა უშიშროების სამსახურიდან ის ოქმები, მის მრავალწლიან ტანჯვა-წამებას რომ ასახავდა.

მეხსიერებიდან რა წაუშლიდა იმ საზარელ ეპიზოდებს, მაგრამ მოინდომებდა დოკუმენტური დადასტურების მოპოვებასაც. ჯერ ისედაც ცნობისწადილი ჰკლავდა, ოქმებში როგორ გადავიდა ის ყოველივეო, და მითუმეტეს — მოგონებათა წიგნის შექმნას რომ განიზრახავდა. ასეთ დროს კი უშიშროების საიდუმლო საცავები სწორედ მისწრებაა, თუნდ ბევრი რამ გაყალბებულად და გადასხვაფერებულად წარმოდგებოდეს.

ახალი ცხოვრება დგებოდა, სრულიად საპირისპირო მანამდელი პოლიტიკური რეჟიმისა.

და თვითონ ჰერტა მიულერიც სულ სხვაგვარად გამოჩნდებოდა ახალი სინამდვილის ფონზე — ნაცვლად დევნილი, შევიწროებული, ჭორებისა და ცილისწამებათა აბლაბუდაში გახვეული ქალისა, თვალდათვალ ამოიზრდებოდა სახელოვანი მწერალი, ნობელის პრემიითაც რომ დააჯილდოებდნენ, თორემ სხვა ჯილდოები და მკითხველის დაუმცხრალი ინტერესი ხომ არ მოაკლდებოდა და არა.

და აი, მისი რომანების, მოთხრობებისა და ესეების წყებას უნდა შემატებოდა ავტობიოგრაფიული რომანიც **„ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა“,** რომლის ჩინებული თარგმანიც — ეკატერინე რაისნერისა და ნატალია ნადირაშვილის მიერ შესრულებული — გამომცემლობა „ინტელექტის“ წყალობით ხელმისაწვდომი შეიქნებოდა ჩვენი მკითხველისთვისაც... იქ კიდევ რომანი **„მელა მაშინ უკვე მონადირე იყო“,** იქ კიდევ ესეების ციკლი **„მეფე დაიხრება და კლავს“,** თუმც ვაითუ შორს გაგვიტყუოს ნობელიანტი მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურმა ნააზრევმა, რადგან ამჯერად მარტოდენ ერთი შტრიხითა თუ ერთი დეტალით თუ შემოვიფარგლებით.

ისე რაოდენ ორიგინალური აღნაგობისაა ეს ავტობიოგრაფიული რომანი, კომპოზიციურ ღერძსა და ქარგას რომ ქმნის არა ამ ყაიდის თხზულებათათვის ნიშანდობლივი თხრობა, არამედ... დიალოგი ანგელიკა კლამერთან, ჰერტა მიულერის მხატვრულ სამყაროსა და ბიოგრაფიულ ლაბირინთებსა და ნიუანსებში ღრმად გარკვეულ პიროვნებასთან, მღელვარე თხრობის სადავეები ვისთვისაც დაუთმია მწერალს და მის კითხვებზე აასხამს მოგონებათა სურათებს. ოქმებს გამოითხოვდა და... მხოლოდ 2008 წელს მოიპოვებდა — სეკურიტატეს (უშიშროების სამსახურის) ოქმების შემსწავლელი უწყების დაარსებიდან ათი წლის თავზე. თვითონ ამ უწყების დაარსებას რა დრო დასჭირვებოდა? დიქტატურის დამხობიდან ათი წელი.

თუ რომელიმე უწყება ამ ოქმებში ჩახედვას მოიწადინებდა, ამის შესახებ უშიშროების სამსახურისათვის უნდა ეთხოვა, იქ კი... ძირითადად ძველი თანამშრომლები ისხდნენ. ისინი ჯერ თვითონ ჩახედავდნენ ხოლმე ამ დოკუმენტებს გაცემამდე და თუ რაიმე არ ეჭაშნიკებოდათ, მსურველებს ამ სიტყვებით იგერიებდნენ: მასალები ჯერაც დამუშავების პროცესშიაო.

ცხადია, ისინი არ ჩქარობდნენ თავიანთ მიერვე შედგენილი ოქმების „გასუფთავებას“.

უწყება ჰერტა მიულერს ჯერ შეატყობინებდა: ოქმები აღარ არსებობს, რევოლუციისას მოსახლეობამ შტურმით რომ აიღო უშიშროების შენობა, დოკუმენტაციაც მაშინ განადგურდაო. ცოტა მოგვიანებით კი... ოც გვერდს თუ გაიმეტებდნენ, ოღონდ ისეთს, მწერალი ამ ფურცლებზე მასთან დაკავშირებულ ერთ კონკრეტულ ფაქტსაც ვერსად იპოვნიდა. ამას მიიჩნევდა საოცრად სულელურ ტყუილად, აროგანტულობად, რაც ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი მიზეზის თქმის ღირსადაც არ მიგიჩნევენ.

ჰერტა მიულერი შეუპოვრად გააგრძელებდა მცდელობას ოქმების მოსაპოვებლად და კიდეც მიაწოდებდნენ ორ ნაწილად სხვადასხვა დროს, მაგრამ... მათში საგულისხმო სრულიად არაფერი აღმოჩნდებოდა.

აკლდა მთელი წლები, ქარხანა საერთოდ არ იხსენიებოდა, ამოიკითხავდი აგენტთა მთელ კარუსელს, ოღონდ დაშიფრულს, იხსენიებოდა ადგილები, საუბრები, შეფასებანი, ცილისწამების გეგმები, მაგრამ აკლდა დავალებების მიმცემთა სახელები. ოქმებში არც ერთი პროფესიონალი სეკურიტატელი არა ჩანდა. ოქმები მაშინაც დუმდა, როცა სუიციდი და მკვლელობა გაიელვებდა. სეკურიტატეს მართლაც რომ არაფერი ჰქონდა დასამალი, უდანაშაულო რომ ყოფილიყო, ხომ შეძლებდა ოქმების მეშვეობით თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას? მაშ რატომ არ იქცეოდა ასე? თუმც... ყველაფერი გასაგებია.

ერთ რაიმეს კი დაადასტურებდა ამ ოქმების გაცნობით და აღტაცდებოდა: მის სამეგობრო წრეში ჯაშუში არ აღმოჩნდებოდა, უშიშროება ვერც ერთის გადაბირებას ვერ შეძლებდა ლიტერატორთა ამ შეკრული გაერთიანებიდან, მათი მეგობრობის მოწამვლას ვერ მიაღწევდა.

სულ უთვალთვალებდნენ, სათითაოდ თუ ჯგუფურად, მაგრამ მხოლოდ გარედან — მეზობლების, კოლეგების, ნაცნობებისა თუ ჟურნალისტების მეშვეობით. ოქმებში ამის ამოკითხვა დიდად არ გაკვირვებდა, მაგრამ ძალიან შეშინდებოდა, როდესაც გამოირკვეოდა, რომ თურმე მისი ბინა მოსასმენი აპარატურით ყოფილა სავსე და ყველა ოთახში უსმენდნენ.

მუდმივი დევნის მიუხედავად, მეგობართა ამ წრიდან ვერავის წარმოედგინა, რომ... თურმე ქვეყნის მტრების სიის სათავეში ეწერნენ. ტექნიკაში გაუთვითცნობიერებელნი სეკურიტატეს შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებდნენ და უშიშროება თავისი ტექნიკით ჯერაც ქვის ხანაში ეგონათ, ისევე როგორც სხვა ყველაფერი მათ გაუბედურებულ ქვეყანაში.

ოქმების გაცნობისას შოკში ჩააგდებდა იმ უხამსობის აღმოჩენა, რომ სეკურიტატე ჰერტა მიულერის დისკრედიტაციას ცდილობდა გერმანიაშიც. ქარხნიდან მისი გამოძევების შემდეგ უშიშროებას თურმე ათობით გეგმა შეემუშავებინა თავისი „დეზინფორმაციის მეთოდებით“ და მათ მწერლის ცილისწამებისათვის იყენებდა.

ჭორების გასავრცელებლად გერმანულ ტელევიზიებს, რადიოსადგურებსა და გაზეთებს წერილებს გაუგზავნიდნენ და არწმუნებდნენ: ჰერტა მიულერი ჯაშუშიაო. საზღვარგარეთ წარგზავნილ რუმინელებს, მაგალითად, ფოლკლორული ანსამბლების თანმხლებთ, ევალებოდათ უშიშროების მიერ ნაკარნახევი ამ წერილების დაწერა და დასავლეთის საფოსტო ყუთებში ჩაყრა.

რა გასაკვირია, იმის თქმაც ეკადრათ, „დაბლობები“ ჰერტა მიულერმა ჩვენი დავალებით დაწერაო!..

მწერლისათვის გულსატკენი აღმოჩნდებოდა, რომ თვით რეჟიმის დამხობის შემდგომ სეკურიტატეს ყოფილ თანამშრომლებს ნებისმიერი პროფესიით შეეძლოთ მუშაობა.

— ეს ხალხი არსად გამქრალა, შენარჩუნებული გავლენისა და ფუნქციების წყალობით სახელმწიფო საკუთრებას დაეუფლნენ, მდიდარ აროგანტულ „დემოკრატებად“ იქცნენ.

მწერლური სიწრფელითა და სიალალით მაინც მოელოდა ჰერტა მიულერი: ეგებ ერთ მათგანს მაინც წამოსცდეს წარსული ცხოვრების გამო მონანიების ერთი სიტყვაო.

ერთი სიტყვაც რაღაა, არა?!.

მსგავსიც არაფერი.

არც სეკურიტატეს, პოლიციისა და საზღვრო ჯარების შესახებ იმართებოდა საჯარო დისკუსიები. საზოგადოება მათ არაფერს ეკითხებოდა, მათ შორის — არც მკვლელობებზე.

მოულოდნელად ქალაქის ცენტრში თავის ყოფილ დამკითხველს რომ შეეჩეხებოდა აწ უკვე აღიარებული მწერალი, ის მაშინვე იცნობდა და... კვერცხის რიგში მდგარ ხალხში გაერეოდა. იცოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა, თუ მასში უშიშროების თანამშრომელს ამოიცნობდნენ. ხალხი ჯერ კიდევ გაცოფებული იყო და შესაძლოა ლინჩის წესით გასამართლებაზეც არ ეთქვათ უარი.

მწერალი გვერდით ამოუდგებოდა და მუქარით კი დაემუქრებოდა: ახლა ჩემი უნდა გეშინოდეთო, — მაგრამ, რა გასაკვირია, სახალხოდ არ განეცხადებინა ამ კაცის ვინაობა და ზიზღმორეული გაშორებოდა.

ცხოვრება ტრიალებდა.

ჰერტა მიულერს კვლავაც თავის დაცვა უხდებოდა, ჭორებისა და ცილისწამებათა გასაქარწყლებად მიზანმიმართული მცდელობა, ისინი კი — გამომძიებლის სახელს ამოფარებული ჯალათები — ადამიანის უფლებათა დამცველად გარდასახულიყვნენ, არასამთავრობო ორგანიზაციები ჩამოეყალიბებინათ და... მთლად მაშინდელივით თუ ვერა, ჯერაც ურთულებდნენ ცხოვრებას მათ მსხვერპლთ, რომელთა დროც არა და არ დგებოდა.

იცვლებოდა დოკუმენტური მასალები, სხვაფერდებოდა თუ სულაც უკვალოდ ქრებოდა დანაშაულის ყოველგვარი კვალი და თავიდან ცოტა მორიდებული გამომძიებელ-დამკითხველები სულ უფრო მოიცემდნენ ძალასა და რიხს: რა დაგკარგვიათ და რას ეძებთ უშიშროების ოქმებში, განა რა გეგულებათ ამისთანა... თუ არ დაგიშლია, ეძებეთ და ეძებეთ, ჩვენ რა, ოდნავი ბრალიც არ მიგვიძღვის და მთის ბროლივით კრიალანი ვართ, ანკი სხვაგვარად როგორ იქნებოდა, ადამიანის უფლებათა დაცვაში გამოგვიღამდა წუთისოფელიო...

* * *

ნუთუ ჩემი და ჩემისთანების დრო არასოდეს უნდა დადგესო, — გულზე შემოყროდა ჰერტა მიულერს.

კიდევ კარგი, ავტობიოგრაფიული რომანის დაწერას მაინც ვეღარავინ დაუშლიდა, მამხილებელი, მრისხანე დოკუმენტის შექმნას იმ თითქოსდა პირწმინდად გამქრალი ოქმების სანაცვლოდ.

როსტომ ჩხეიძე

◎ შიდსთან ბრძოლის დღე

პრობლემა – სამედიცინო, პრობლემა – ზნეობრივი...

„მე-20 საუკუნის ჭირად“ შერისხულ შეძენილ იმუნოდეფიციტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე გუშინ, 1 დეკემბერს, თბილისსა და ქვეყნის ყველა რეგიონში ტრადიციულად მოსახლეობისთვის ანალიზების უფასოდ ჩატარებით, სხვადასხვა სახეობის სააგიტაციო ღონისძიებებით აღინიშნა.

თბილისის ცენტრალურ და რამდენიმე პერიფერიულ უბანში მსურველებს შიდსის ვირუსზე ექსპრეს-ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ, პასუხს კი 10-15 წუთში იგებდნენ. უამინდობის მიუხედავად, მოძრავ ლაბორატორიებთან ყველგან რიგები იდგა, რადგან პრობლემა მართლაც საშინელია და უაღრესად საგანგაშო, თანაც მასშტაბიც წლიდან წლამდე იზრდება: მარტო წლეულს საქართველოში შიდსით დაავადების 636 ახალი შემთხვევაა გამოვლენილი.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მონაცემებით, სადღეისოდ საქართველოში მთლიანად 5331 შემთხვევაა რეგისტრირებული. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდე ასაკისაა, მათ შორის 3932 მამაკაცია, 1399 — ქალი, მათ შორის ყველაზე მეტი ინფიცირებული კი — 1788 კაცი, თბილისში ცხოვრობს.

ცენტრის ინფორმაციით, წლეულს, შარშანდელთან შედარებით, ჰეტეროსექსუალური გზით ინფიცირების შემთხვევათა ოდენობა 25 პროცენტით გაიზარდა, ჰომოსექსუალური გზით — 163 პროცენტით, ხოლო ნარკოტიკების მოხმარების შედეგად ინფიცირების შემთხვევები 18,5 პროცენტითაა შემცირებული.

იმის მიუხედავად, რომ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, საქართველო აივ-ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება, მათი სავარაუდო რიცხვი ქვეყანაში რეგისტრირებულ 5331 კაცზე მეტია და 7 ათასს უნდა უტოლდებოდეს.

აივ-ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით კი ასეთია: მათი 46,8 პროცენტი ინიექციური ნარკომანია, 42,6 პროცენტი — ჰეტეროსექსუალი (ანუ ლესბოსელი), 7,6 პროცენტი — ჰომოსექსუალი და სხვ., თანაც მათ შორის სისხლის გადასხმით დაავადებულები ყველაზე ცოტანი — სულ 0,5 პროცენტი — არიან.

ასე რომ შიდსი მარტო სამედიცინო კი არა, უფრო მეტად სოციალურ და, რაც მთავარია, უდიდეს ზნეობრივ პრობლემად გვევლინება, რომელსაც ყველანი ერთობლივად უნდა ვებრძოლოთ.

ოთარ ტურაგელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

ჩინური „ერთი-ერთის“ დასასრული

2015 წლის ოქტომბერში გამართულმა ჩინეთის კომპარტიის მეხუთე პლენუმმა ოფიციალურად დაუსვა წერტილი საუკუნის მესამედზე მეტხნიან დემოგრაფიულ პოლიტიკას სახელწოდებით „ერთი ოჯახი – ერთი შვილი“. ამ პოლიტიკას საფუძველი დაედო 1979 წელს, რითაც არსებითად შეიცვალა ჩინეთში მანამდე არსებული სახელმწიფოს დემოგრაფიული კურსი. – წინა მმართველის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამაარსებლის მაო ძედუნის საყვარელი ლოზუნგი იყო: **„ჩვენი ძალა სიმრავლეშია!“,** რაც გულისხმობდა მეტ სამუშაო ძალას სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიაში და მეტ ჯარისკაცს – ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში. ჩინეთის დიდი მესაჭე (როგორც თავმჯდომარე მაოს მოიხსენიებდნენ მის სიცოცხლეში) ამბობდა, ადამიანთა სიმრავლეს ატომურ აფეთქებაზე მეტი ძალა აქვსო. ამ ლოზუნგის პრაქტიკულმა განხორციელებამ ჩინეთის მოსახლეობა გაზარდა **1950 წლის 540 მილიონიდან 1970 წლის 850 მილიონამდე და 940 მილიონამდე 1976 წლისთვის.** თუმცა მაო ძე დუნის სიცოცხლის ბოლოსათვის ჩინეთის ხელისუფლებამ ფაქტობრივად სრულად გააცნობიერა ის საფრთხე, რაც ამ ქვეყნისთვის მოსახლეობის უკონტროლო და სწრაფი ზრდის შემდგომ გაგრძელებას შეეძლო მოეტანა. მოსახლეობის რიცხოვნობის მატება საჭიროებდა სულ უფრო მეტ მატერიალურ რესურსს და ძალისხმევას, რაც ეკონომიკურად დასუსტებული, „დიდი ნახტომისა“ და ათწლიანი „კულტურული რევოლუციის“ გადამტანი ქვეყნისათვის შეიძლებოდა კიდევ უფრო სავალალო შედეგებით დასრულებულიყო. – სუსტი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო ვერ მისცემდა საკუთარ თავს იმის ფუფუნების უფლებას, თითებს შორის ეცქირა ქვეყნის ისედაც უზარმაზარი მოსახლეობის უკონტროლო ზრდისათვის. თანაც, იმ დროისთვის მაღალ რეპროდუქციულ ასაკში იმყოფებოდა სწორედ ის თაობა, რომელიც 1950-1960-იან წლებში მაო ძედუნის ზემოხსენებული ლოზუნგის პერიოდში მოევლინა ქვეყანას. ასეთი მკაცრი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას საფუძვლად კონკრეტული გათვლებიც ედო. – ჩინელი მათემატიკოსის სუნ ცზიანის გათვლებით, **მკაცრი დემოგრაფიული პოლიტიკის გაუტარებლად ჩინეთის მოსახლეობა 2080 წლისთვის 4 მილიარდს მიაღწევდა.** შესაბამისად, ასეთი „დემოგრაფიული ბომბის“ კატასტროფული შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო შობადობის მკვეთრი შემცირება ერთ ბავშვამდე და ამ პოლიტიკის შენარჩუნება არანაკლებ 20-40 წლის განმავლობაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლოზუნგი **„ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“** ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. – დემოგრაფიული საფრთხის გაცნობიერება ჩინეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ მაო ძედუნის სიცოცხლეშივე შეძლო, თუმცა გატარებული შესაბამისი ზომები უფრო ზომიერი იყო. კერძოდ, ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში წამოწყებულ იქნა კამპანია ლოზუნგით: **„გვიან – იშვიათად (ნაკლებად ხშირად) - ნაკლები“.** ეს კამპანია რამდენიმე ასპექტს ითვალისწინებდა:

ჯერ ერთი, პროპაგანდა ეწეოდა დაგვიანებულ ქორწინებას – დაქორწინების სარეკომენდაციო მინიმალურ ასაკად მიჩნეული იყო 28 წელი – მამაკაცებისათვის და 25 წელი – ქალებისათვის (სოფელ ადგილებში, შესაბამისად, 25 წელი და 23 წელი).

მეორე, ოჯახურ წყვილებს სთავაზობდნენ, რომ პირველი და მეორე ბავშვის დაბადებას შორის პერიოდი ყოფილიყო არანაკლებ 4 წელი.

მესამე, ოჯახებს რეკომენდაცია ეძლეოდათ, ჰყოლოდათ: ქალაქად – არაუმეტეს ორი, ხოლო სოფლად – არაუმეტეს სამი ბავშვი. სააგიტაციო საშუალებები განუმარტავდნენ მოსახლეობას ამგვარი საოჯახო პოლიტიკის უპირატესობებზე, რესურსების ეკონომიასა და ბავშვთათვის უფრო მეტ შესაძლებლობებზე.

ამის გარდა, კონტრაცეპტივებს უფასოდ არიგებდნენ და არასასურველ ფეხმძიმობას წყვეტდნენ. **1971-2013 წლებში ჩინეთში ოფიციალურად იქნა გაკეთებული 336 მილიონი აბორტი და 222 მილიონი სტერილიზაცია.**

მთლიანად, შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაზე ჩინეთი ხარჯავდა ყოველწლიურად 11.2 მლრდ. აშშ დოლარზე მეტს, მათ შორის **32 სახეობის კონტრაცეპტივების დარიგებაზე –100 მლნ. აშშ დოლარზე მეტს.**

დემოგრაფიულ პოლიტიკაში ცვლილებები, რომლებიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით **„ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“,** 1970-იანი წლების ბოლოს დენ სიაო პინის ეკონომიკური რეფორმების პარალელურად დაიწყო. **გეგმური შობადობა სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა.** დადგენილი წესის დარღვევას შეიძლება მოყოლოდა ადმინისტრაციული და მატერიალური პასუხისმგებლობა **(პარტიიდან გარიცხვა, ჯარიმები „ჭარბი ბავშვებისათვის“, რომელთა მოცულობა „ურჩი მშობლის“ წლიურ შემოსავალს 4-8-ჯერ აღემატებოდა, საჯარო სამსახურის დაკარგვა და ა.შ.).** ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ბავშვი რჩებოდა ჩაწერის და პრაქტიკულად ყველა სახის სოციალური გარანტიის გარეშე.

აღნიშნული პოლიტიკის ხაზით ფართო ხასიათი ჰქონდა ჩინეთში საქორწინო წყვილის წინასაქორწინო პროფილაქტიკურ საუბრებსა და სამედიცინო შემოწმებას.

სოფლად მცხოვრებლებს „შეუნარჩუნდათ“ უფლება, ყოლოდათ 2 ბავშვი (ისიც იმ შემთხვევაში, თუ პირველი შვილი გოგო იქნებოდა). ამასთან, ეს პოლიტიკა არ ეხებოდა ეროვნულ უმცირესობებს – 100 ათასამდე რიცხოვნობის მქონე ეროვნებებს შეზღუდვა საერთოდ არ ეხებოდათ, ხოლო სხვა, უფრო მრავალრიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს (ჩინეთში 56 ეროვნული უმცირესობაა, რომლებზეც მოდის ჩინეთის მთელი მოსახლეობის 8.9 პროცენტი – „სულ რაღაც“ 122 მილიონი კაცი) შეეძლოთ ყოლოდათ 2-3 ბავშვი. ამის გარდა, 1987 წლიდან ტარდებოდა გარკვეული შემსუბუქებები ამ პოლიტიკის გატარებაში. მაგალითად, ზოგიერთ პროვინციაში ნებას რთავდნენ ოჯახს მეორე შვილიც ჰყოლოდა... პირველი ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე, თუკი ბავშვის მშობლები თავადაც დედისერთები ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საჯარო მოხელენი იყვნენ.

ამასთან, „მორჩილი“ და „დამჯერი“ ოჯახები სახელმწიფოსაგან იღებდნენ დახმარებას... 5-დან 20 იუანამდე თვეში (0.8-3.5 აშშ დოლარი).

აღნიშნული პოლიტიკის გატარების წყალობით შესაძლებელი გახდა ჩინეთში 1980 წლიდან 2015 წლამდე აეცილებინათ დაახლოებით 400 მილიონი ბავშვის (ზოგიერთი მეცნიერის პესიმისტური შეფასებით, ეს ციფრი 100 მილიონს არ აღემატება) დაბადება. ამ ქვეყნის მოსახლეობა, მართალია, ამ პერიოდში მაინც გაიზარდა დაახლოებით 40 პროცენტით – 1373 მლნ.-მდე, მაგრამ ეს მაინც ორჯერ უფრო დაბალი ტემპია წინა 30-წლიან პერიოდთან (1950-1970-იანი წლები) შედარებით. შედარებისათვის: იმავე პერიოდში ინდოეთის მოსახლეობა ფაქტობრივად გაორმაგდა და ჩინეთის მოსახლეობის რიცხოვნობის 87 პროცენტი შეადგინა (1980 წელს - 61%). ამ პერიოდში შობადობის კოეფიციენტი ჩინეთში შემცირდა 18.5 პრომილედან 11.9 პრომილემდე.

პოლიტიკამ „ერთი ოჯახი – ერთი შვილი“ საგრძნობი შედეგი გამოიღო და 2011 წლისთვის მოსახლეობის წლიურმა მატებამ მხოლოდ 0.49 პროცენტი შეადგინა, რაც საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს (1.1%) ორჯერ და მეტად ჩამორჩება. აღნიშნული ინდიკატორით ჩინეთი მსოფლიოს 186 ქვეყნიდან მხოლოდ 151-ე ადგილზეა. ამ პოლიტიკის რეალიზაციის „წყალობით“ ოჯახებში ბავშვების რაოდენობა 1970 წლის 5.8 ბავშვიდან 2013 წლისთვის 1.58-მდე შემცირდა. სხვადასხვა წყაროებით, **ყოველდღიურად ჩინეთში კეთდებოდა 25 ათასი რეგისტრირებული აბორტი.** შობადობის წლიური მაჩვენებელი 2000 წლის 16.1 მილიონიდან 2014 წლისთვის შემცირდა 12.17 მილიონამდე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ **2025 წლისთვის ჩინეთი მიაღწევს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვან დონეს.**

მიღებული შედეგი თვალსაჩინოა, თუმცა ამ პოლიტიკის ფასიც საკმაოდ მაღალია. ამჟამად **15 წლამდე ასაკის ყოველ 100 ბავშვზე 64 წელს გადაცილებული 165 ადამიანი მოდის**. ფაქტობრივად, ბოლო წლებში „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“ წინააღმდეგობაში მოვიდა სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებთან და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებთან. ასეთ პოლიტიკას, გარდა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებისა, ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური თაიგული ახლავს თან.

ჯერ ერთი, ერთშვილიან ოჯახებში ბავშვი, როგორც თავად ჩინელები თვლიან, „პატარა იმპერატორად“ იქცა. – უფროსი თაობის წარმომადგენლების მთელი ყურადღება მათზეა კონცენტრირებული. მაგრამ ამჟამად, როდესაც პირველი თაობის ამ „პატარა იმპერატორების“ სიმწიფის წლები დადგა (30-35 წელი), მათ ფაქტობრივად უწევთ უფროსი თაობის რამდენიმე ადამიანის რჩენა. – ერთ ახალგაზრდა წყვილზე მოდის მათი მშობლების ორი წყვილი, ხოლო ბებია-ბაბუის გათვალისწინებით, არც თუ იშვიათად, უფროსთა სამი-ოთხი წყვილი. შესაბამისად, დედისერთებს უფროსი თაობის წარმომადგენლების დახმარება-შენახვა დედმამიშვილების „შეხიდების“ გარეშე უწევთ. ეს – „უკეთეს შემთხვევაში“. საქმე ის არის, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც საპენსიო ასაკის მოსახლეობის 93 პროცენტი ოჯახის სხვა, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან ერთად ცხოვრობენ, ჩინეთში 70 წელს გადაცილებულთა თითქმის მეხუთედი, ვინც 70 წელზე უფროსია, მარტო ცხოვრობენ. მომავალში კი ასეთთა რიცხვი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ აღნიშნული კატეგორიის მოსახლობისადმი უყურადღებობა, შესაბამისი მხარდაჭერის დეფიციტი ქმნის ამ კონტინგენტისათვის დეჰუმანიზაციისა და დესოციალიზაციის აშკარა საფრთხეს, რის დაძლევაც „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვის“ პოლიტიკის დასრულების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მეორეც, როდესაც ბავშვთა რაოდენობა ოჯახში ერთი ბავშვით შემოიფარგლა, ბევრმა ოჯახმა უპირატესობა ბიჭს მიანიჭა. და თუ საშუალოდ მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ საშუალოდ 100 დაბადებულ გოგონაზე 106 ბიჭი მოდის, ჩინეთში ეს მაჩვენებელი 116-120-ის ფარგლებშია. **ახალგაზრდა მშობლები ხშირად წყვეტდნენ ფეხმძიმობას იმ შემთხვევაში, თუკი ცნობილი იყო, რომ გოგო უნდა დაბადებულიყო.** გოგონაზე ფეხმძიმობის ხელოვნურმა შეწყვეტამ იმდენად კატასტროფული მასშტაბები მიიღო, რომ ჩინეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, საკანონმდებლო დონეზე აეკრძალა ბავშვის სქესის წინასწარი დადგენის პროცედურების ჩატარება. მიუხედავად ამისა, **2014 წლისთვის ფერტილური ასაკის მამაკაცების რაოდენობა 25 მილიონით აღემატებოდა ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობას.** ამჟამად 1980 წლის შემდეგ დაბადებულ დასაქორწინებელ ქალზე 136 დასაქორწინებელი ვაჟი მოდის.

მესამე. ამან გამოიწვია ჩინეთის მოსახლეობის მედიანური ასაკის სწრაფი ზრდა, რომელიც უკვე მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო მედიანურ მსოფლიო ასაკს და შეადგენს 36.8 წელს (სხვა წყაროებით – 37.5 წელს), მაშინ როდესაც ინდოეთში, რომელიც სწრაფად უახლოვდება ჩინეთს მოსახლეობის რიცხოვნობით, მედიანური ასაკი მხოლოდ 27.3 წელია. თუ მედიანური ასაკი ჩინეთში 1970 წელს იყო 19.2 წელი, 1980 წელს – 21.7, 1990 – 24.7, 2000 – 29.8, 2010 – 35.2, 2015 – 37, 2080 წლისთვის, არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, 51.1 წელს მიაღწევს. 65 წელს გადაცილებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 4%-დან 9%-მდე და 2050 წლისთვის, პროგნოზებით, უნდა მიაღწიოს 30%-ს.

მეოთხე, აღნიშნულ პერიოდში დემოგრაფიული დატვირთვა (15 წლამდე ბავშვებისა და 65 და მეტი წლის ადამიანების რიცხოვნობის თანაფარდობა 15-64 წლიანების რიცხოვნობასთან) შემცირდა 2.2-ჯერ – 1979 წლის 0.74-დან 2015 წლის 0.34-მდე. ამ ხნის მანძილზე შრომის ბაზარი შეივსო იმ ქალებით, რომლებსაც აღარ უწევდათ მეორე და მომდევნო ბავშვების გაჩენა და მოვლა, მცირე ზომის ოჯახებს დიდ ოჯახებთან შედარებით ნაკლები ხარჯები და სოციალური დახმარება სჭირდებოდათ ბავშვთა აღზრდაზე, სწავლა-განათლებასა და ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, სამუშაო ძალის მიწოდება საკმაო ხანს შენარჩუნებული იყო მაღალ დონეზე და მისი ღირებულების ზრდის ამოცანა პრაქტიკულად არ იდგა. ამიტომ, **„ერთი ოჯახი – ერი ბავშვის“ პოლიტიკა ამართლებდა თავის დანიშნულებას მანამდე, სანამ იგი ეკონომიკაში შობადობის მკვეთრი შემცირების პირობებში დამატებითი ან სტაბილური რაოდენობის სამუშაო ძალის არსებობას უზრუნველყოფდა.** მაგრამ ბოლო წლებში სიტუაცია არსებითად შეიცვალა. – 2011 წლიდან ჩინეთში სისტემატიურად მცირდება შრომისუნარიანი ასაკის (15-64 წელი) მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა და წილი მთელ მოსახლეობაში. მარტო **ბოლო ოთხ წელიწადში (2011-2014 წ.წ.) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა.** ფაქტია, რომ ხანდაზმული მოსახლეობის წილის ზრდა აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შემდგომ შემცირებას და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას. ამის კარგ მაგალითს იძლევა იაპონია, სადაც ხანდაზმული მოსახლეობის წილი უკვე 30 პროცენტია, მედიანური ასაკი 45 წელს უახლოვდება, ხოლო ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 2000 წლის შემდეგ დროინდელ პერიოდში 0.8 პროცენტს არ აღემატება.

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის დაბერებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა მზარდი სოციალური პრობლემების ნიშნები საკმაო ხანის მანძილზე ვლინდებოდა, თუმცა **ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი იძლეოდა შესაძლებლობას, მნიშვნელოვნად გადაეფარა, ასე ვთქვათ, „ჩაეხშო“დემოგრაფიული პროცესების ნეგატიური სოციალურ- ეკონომიკური შედეგები.** ამასთან აკრძალვის გაუქმებისაგან ხელისუფლება ბოლო დრომდე თავს იმის გამოც იკავებდა, რომ კანონის დარღვევაზე არსებული ჯარიმების მოცულობა საგრძნობი წყარო იყო ადგილობრივი ბიუჯეტების შესავსებად. ყოველწლიურად მობილიზებული თანხა ჯარიმებიდან შეადგენდა 33-35 მლრდ. იუანს (დაახლოებით 5.2-5.5 მლრდ აშშ დოლარს), რაც სახელმწიფოს მიერ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო სახსრების თითქმის ნახევარს შეადგენდა.

ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება, ჩინური იუანის წლევანდელი 2-პროცენტიანი და კიდევ უფრო მასშტაბური დევალვაციის საფრთხე გაისად აიძულებს ჩინეთის ხელისუფლებას, გადასინჯოს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის მთელი რიგი მიმართულებები და განაახლოს შესაბამისი ინსტრუმენტები.

იხ. 9 გვ.

სამანქანო საფრთხეები

კომფორტული მგზავრობის საიდუმლოებანი

თქმა არ უნდა: ყველაზე მეტად მძღოლებს ავარიაში მოხვედრისა ეშინიათ! მაგრამ, თუკი საქმეში ჩახედულ ხალხს დავუგდებთ ყურს, ავარიის რისკი არაფერია იმ პოტენციურ საფრთხესთან შედარებით, რომელსაც თავად ავტომანქანა... ადამიანის ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს.

მაინც, რითაა იგი სახიფათო?

ავტომანქანის მართვისას მძღოლი მავნე გამონაბოლქვებით სუნთქავს, რის შედეგად ორგანიზმში მავნე ნაერთები ხვდება. თანაც აღმოჩნდა, რომ კონდიციონერი ტოქსინებისგან მეტად სუსტი დაცვაა, რადგან მავნე უმციერესი ნაწილაკები მის ფილტვებში თავისუფლად აღწევენ. სახიფათოა თავად ავტომანქანაც – როგორც ძველი, ისე ახალი: **ცვეთის პროცესში საბურავები თვალის ლორწოსთვის, კანის და სასუნთქი გზებისთვის მავნე მტვერს გამოყოფენ, რომელიც, თავისი კანცეროგენური თვისებებით, გამონაბოლქვ გაზებზე საშიშია(!). ახალ ავტომანქანაში კი მავნე ნივთიერებებს აქტიურად გამოყოფენ სალონის მომპირკეთებელი ვინილი და პლასტმასები.**

როგორ უნდა მოვიძცეთ? საჭიროა ტექდათვალიერების დროულად გავლა და მანქანის შეკეთება, სრულიად ახლით კი დღეში ორ საათზე მეტად სიარული მიზანშეწონილი არ არის, თან ნურც სუფთა ჰაერზე სეირნობას დაივიწყებთ.

მზიან დღეში საჭესთან გატარებული დიდი დრო კანის კიბოს წარმოშობის საფრთხეს ზრდის. საშიშროება არსებობს მაშინაც კი, როცა ფანჯრები აწეულია. საქმე ისაა, რომ B ტიპის ულტრაიისფერი სხივებს შთანთქმელი შუშები უძლურია A ტიპის კანცეროგენური სხივების წინააღმდეგ. სხვათა შორის, მათ წინაშე უძლურია ტონირებული მინებიც.

როგორ უნდა მოვიძცეთ? თუკი სიცხეში ხანგძლივ მგზავრობას აპირებთ, ტანის დაუფარავ ნაწილებზე აუცილებლად წაისვით მზისგან დამცავი საცხი და გაიკეთეთ მზის სათვალე.

მძღოლებს ოსტეოქონდროზის გაზრდილი საფრთხეც ემუქრებათ. დიდი ხნის მანძილზე საჭესთან ჯდომა ხერხემალს ძალიან არ უხდება, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუკი ისედაც ცოტას მოძრაობთ.

როგორ უნდა მოვიძცეთ? მეტი იმოძრავეთ, იცურავეთ, ყოველდღიურად გააკეთეთ თუნდაც მარტივი ვარჯიშები.

მავნეა საჭესთან მუსიკის მოსმენა.

ისრაელელი მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ საჭესთან მყოფი ადამიანები, რომლებიც ჩქარ მუსიკას უსმენენ, ნელი კომპოზიციების მოყვარულებთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევებში ორჯერ უფრო ხშირად ხვდებიან. მეორე მხრივ, ნელ, ლირიკულ მუსიკას მძღოლის ყურადღების მოდუნება შეუძლია, რაც არანაკლებ სახიფათოა.

როგორ უნდა მოვიძცეთ? უმჯობესია, საჭეს დაღლილი და გამოუძინებელი საერთოდ არ მიუჯდეთ, მაგრამ თუ თავს ყოჩაღად გრძნობთ, მუსიკას საშუალო ხმაზე მოუსმინეთ.

ბემბის ცისფერი ოცნება

იმ დროს, როცა უამრავი ადამიანი ჭარბი წონის დაკლებას ათასნაირი ხერხით ცდილობს, სხვები, პირიქით, რაც შეიძლება მეტი კილოგრამის მოსამატებლად ყველა ღონეს ხმარობენ.

ასეთია, მაგალითად, ამერიკელი ტეხასის შტატიდან, 40 წლის ბასთერ სიმქუსი, რომელიც... 1810 კილოგრამს (!!) იწონის, და ყოველ დღე, საშუალოდ, ერთ კილოგრამს იმატებს. ოთხი წლის წინათ, ექიმთა დაჟინებული მოთხოვნით, იგი უმკაცრეს დიეტაზე იყო, რის შედეგად 96 კილოგრამამდე გახდა, მაგრამ მერე ამაზე ხელი აიღო, რადგან თავს ქვეყანაზე ყველაზე უბედურ კაცად თვლიდა.

– ადამიანი ამქვეყნად იმიტომ კი არ მოვიდა, რომ სტაფილოს კატლეტი და მოხარშული ჭარხალი ჭამოს, მთელი დრო ვარჯიშებს და სპორტულ სიარულს შეალიოს, ერთ დღესაც განაცხადა, მან და ცხოვრების დევიზად „სიცოცხლე ჭამისთვის!“ გაიხადა.

მისტერ სიმქუსი შეძლებული მამის შვილია და, ამდენად, საკვები მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს – ყოველდღე პირადი მზარეული მისთვის იმდენ საჭმელს ამზადებს, რამდენიც ჯარისკაცთა ორ-სამ ოცეულს თავისუფლად ეყოფოდა. მისი ერთადერთი ცხოვრებისეული გასაჭირი კი ისაა, რომ შესაფერისი მეგობარი ქალი არ ჰყავს.

არადა, მისი თანამემამულე კონექტიკუსის შტატიდან 33 წლის ბემბი ვენდიკო მსოფლიოში ყველაზე დიდ ქალად ითვლება – იგი 1310 კილოგრამს იწონის თავად კი... 1,5 ტონის მიღწევაზე ოცნებობს!

– მართალია, ექიმები მირჩევენ, რომ დიეტა დავიცვა, მაგრამ, რა ვქნა, ჭამა იმდენად მიყვარს, თანაც დედაჩემი ისეთ გემრიელ კერძებს აკეთებს, რომ საჭმელზე უარს ვერაფრით ვერ ვიტყვი, – ამბობს მის ვენდიკო.

ათი კაცის სამყოფი საუზმის შემდეგ, ბემბი დაახლოებით ორ საათს ჭამისგან „ისვენებს“, შემდეგ ლანჩის დრო მოდის, რომელსაც ნაშუადღევის სიესტა მოყვება, რის შემდეგ სადილობის დროა, რომელსაც – სამსაათიანი ძილის შემდეგ – ნოყიერი ვახშამი და „ძილისპირული“ მოსდევს.

ისე კი ბემბი ვენდიკოს „ცისფერი ოცნებაც“ აქვს: მას ტომ კრუზის ან ბრედ პიტისნაირი მამაკაცის შეყვარება და მასზე გათხოვება უნდა.

სახიფათო სილამაზე

ორნიტოლოგებმა ავსტრალიაში უიშვიათეს ფრინველს – თეთრ ბეღურას მიაგნეს.

მეცნიერების დაკვირვების მთელი ხნის მანძილზე ასეთი ალბინოსები მხოლოდ რამდენჯერმე ნახეს. გენეტიკური მუტაციის გამო, რომელმაც ფრინველი თეთრად „შეღება“, მისი სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა, მაგრამ ამ ავსტრალიელმა ბეღურამ უკვე შვიდი თვის ასაკს მიაღწია.

კოცნა ვნებიანი, კოცნა მეგობრული...

რა ვიცით კოცნის შესახებ? – ეს კითხვა, თვალის ერთი გადავლებით, თითქოს უცნაურიცაა, იმდენად მარტივი და ბუნებრივია იგი. მაგრამ, ისიც ხომაა, რომ ჯერ კიდევ ახლო წარსულში ევროპელთათვის ასე ბუნებრივი კოცნის რიტუალი უცნობი იყო ამერიკის, აფრიკის, ოკეანეთისა და ავსტრალიის, ასევე აზიის მრავალი ხალხისთვის, ჩინელებისა და იაპონელებისთვის?!

ზოგიერთ ხალხში კოცნის ფუნქციას ეგრეთ წოდებული „მალაიური“ ანუ „ცხვირით კოცნა“ ასრულებს, როცა ადამიანები ერთმანეთს ცხვირებით ეხახუნებიან, ყნოსავენ.

თუ ტუჩებით კოცნას გემოს შეგრძნება ახლავს, ცხვირით კოცნა ყნოსვას ეფუძნება, სუნი კი, როგორც ცნობილია, როლს ასრულებს როგორც ადამიანის სექსუალურ ცხოვრებაში, ასევე მის კვებაში.

შესაძლოა, რომ კოცნის წარმოშობის წინაპირობა ადამიანის ძუძუს წოვის თანდაყოლილი რეფლექსია. სი-

ცოცხლის პირველი წლის მანძილზე, ჩვილისთვის სიამოვნების ძირითადი წყაროა პირი. გარდა ამისა, ტუჩებით ქალის მკერდის შეხება – შვილად აყვანის ცნობილი ჟესტია. ინტიმური ურთიერთობის დროს კოცნა კი, დიდწილად, კვებასა და სქესობრივ ცხოვრებასთან ფიზიოლოგიური კავშირითაა განპირობებული. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი რიტუალური მოქმედება სწორედ ჭამის ფონზე ხდება.

კოცნის ფუნქციების მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც მისი ძირითადი სამი სახეობის გამოყოფა შეიძლება. ესენია, კერძოდ, სასიყვარულო, რიტუალური და ეთიკური. ერთი მხრივ, სასიყვარულო, ხოლო მეორე მხრივ – რიტუალურ და ეთიკეტურ კოცნებს შორის უშუალო კავშირი არ არის, თუმცა კი სამივე სახეობის სექსუალური სფეროსადმი კუთვნილება, თვისობრივი არასექსუალობის მიუხედავად, ამ ორი უკანასკნელის შინაარსს განსაზღვრავს.

ევროპულ ფოლკლორში კოცნა – ჯადოსნობის, ბნელი ძალების დარღვევის საშუალებაა. ბავშვის დასაწყნარებლად მას ნატკენ ადგილზე კოცნიან ან სულს უბერავენ. კოცნა ადამიანებს შორის ურთიერთსიმპათიასა და ორმხრივ ლტოლვას ამყარებს. კოცნით გადაიცემა სექსუალური ენერგია, იზრდება ნოყიერება და მატულობს ზრდა.

აღმოსავლეთ ევროპაში კოცნა – სტუმრისადმი პატივისცემის გამოხატვის ჩვეული გამოვლენაა. მისალმების კოცნა თაყვანისცემის კოცნას უახლოვდება. მაგალითად, თუკი სლავურ ხალხებსა და ქართველებში ტუჩებში კოცნა, უწინარესად, კეთილგანწყობისა და მეგობრული დამოკიდებულების ნიშანია, ხელზე, მხარზე ან ფეხზე მთხვევა პატივისცემის გამოხატავს. ხელებისა და ფეხების კოცნა ევროპის ქვეყნებში შუა საუკუნეებშიც იყო გავრცელებული და გვიანდელ ეპოქაშიც, თუმცა კი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ეს წესი მხოლოდ ფრანგებს შემორჩათ – ახლა ხელზე მხოლოდ ღვთის მსახურებსა და ქალბატონებს ემთხვეოდნენ.

წმინდა საგნების კოცნა ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ხანაში. ბერძნები და რომაელები კოცნიდნენ ღმერთების ქანდაკებების ხელებს, ფეხებს, მუხლებს და ტუჩებსაც კი, ხოლო თუ მათ ვერ წვდებოდნენ, მაშინ ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ.

წმინდა საგნის კოცნის დროს, ადამიანი მისი ზიარი ხდება, მასზე სიწმინდის ძალა გადმოდის. ხატის, ჯვრისა და სხვა სიწმინდეთა ამბორით ბევრ ხალხში ფიცი მტკიცდებოდა.

სიწმინდეზე მთხვევისგან კაცის კოცნამდე, ღვთიურიდან ადამიანურისკენ დაღმავალი სიდიადით, – ასე ხდება „რეალობის კურთხევა“, რაც წესის აგების უმნიშვნელოვანესი მიზანია, რომელიც ადამიანის მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს.

უცნაური მეგობრობა

აღმოსავლეთ აფრიკის მთიანეთის ალპურ მდელოებზე მობინადრე მგლებმა რაღაც უცნაური ხერხით შეძლეს ჰელადას ჯიშის მაიმუნების ნდობის მოპოვება.

პრიმატებს მგლებისა არ ეშინიათ, მათ თავიანთ ხროვებში თავისუფლად უშვებენ, მგლები კი მაიმუნებს თავს არ ესხმიან. ზოოლოგებმა ამ გასაოცარი სიმბიოზის საიდუმლოს ახსნა შეძლეს: თურმე მაიმუნები რაღაცნაირად იტყუებენ მღრღნელებს მაღალი ბალახიდან, რომლებიც მგლებს გაცილებით მეტად „ეგემრიელებათ“.

შუქნიშანი და კანონი

გერმანიის ქალაქ დრეზდენის ერთ-ერთ ქუჩაზე არის შუქნიშანი, რომელზეც, მოყოლებული 1987 წლიდან, მთელი დღეღამის განმავლობაში... წითელი შუქი ანთია.

ამ გზაჯვარედინზე მოძრაობა მხოლოდ მარჯვნივაა ნებადართული. ამ, თვალის ერთი გადავლებით, „უაზრო“ შუქნიშნის მოშლის შესაძლებლობას კანონი არ იძლევა, რომელშიც წერია: „თუკი გზაჯვარედინზე შუქნიშანია დაყენებული, იგი ასევე ყველა მიმდებარე ქუჩაზეც უნდა იყოს“. ამიტომაც პოლიცია ვერ ახერხებს მის ჩამოხსნას და მარტივი ნიშნის –„მოძრაობა მხოლოდ მარჯვნივ“ დაყენებას.

საიდან ჟანგბადი?

ხმელეთის მცენარეები დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადის მხოლოდ ნახევარს აწარმოებენ.

მეორე ნახევარს კი, მეცნიერთა მიახლოებითი გათვლებით, ფოტოსინთეზის უნარის მქონე წყალმცენარეები – ფიტოპლანქტონი გამოიმუშავებს, რომელიც მთელს მსოფლიო ოკეანეშია გავრცელებული.

პირველი აერონავტები

1783 წლის სექტემბერში ძმებმა ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიერებმა, ვერსალში პირველად გაუშვეს ცხელი კვამლით სავსე საჰაერო ბურთი.

მისი პირველი მგზავრები იყვნენ ცხვარი, მამალი და იხვი. რვაწუთიან ფრენას თვალყურს ადევნებდნენ თავად საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მე-16 და მისი მეუღლე მარია-ანტუანეტა.

საკმაო სიმაღლეზე ასული საჰაერო ბუშტი კი გაიხა, მაგრამ ისე მდოვრედ დაეშვა, რომ ყველა ცხოველი უვნებლად გადარჩა. ამის შემდეგ საჰაერო ბურთის საჩვენებელი გაფრენა ძმების მშობლიურ ქალაქ ანონში გაიმართა, რის შემდეგ ისინი დიდი პატივით მიიღეს საფრანგეთის აკადემიაში. 21 ნოემბერს კი „მონგოლფიერით“ პირველად ადამიანებმაც იმგზავრეს.

ცაცია... კენგურუები

ადამიანების მსგავსად, კენგურუებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში უპირატესად რომელიმე ერთ წინა კიდურს ხმარობენ.

აღმოჩნდა, რომ ეს ჩანთოსნები, ძირითადად, ცაციები არიან: ტოტების დაბლა ჩამოწევას, ფოთლების მოგლეჯას, „თავის მოწესრიგებასა“ და ბევრ სხვა საქმეს ისინი ცაცია თათით ამჯობინებენ. მაგალითად, ჟღალ-რუხი ვალაბები მარცხენა თათს რთული მანიპულაციებისთვის იყენებენ, მარჯვენას კი იმ საქმისთვის, რომელსაც ძალა სჭირდება.

ხუთი რგოლის არსი

ოლიმპიურ დროშაზე გამოსახული ხუთი რგოლის ფერებს ხშირად კონტინენტების აღნიშვნად მიიჩნევენ.

თანმიმდევრობა ასეთია: ცისფერი – ევროპას ნიშნავს, ყვითელი – აზიას, შავი – აფრიკას, მწვანე – ავსტრალიას, წითელი – ამერიკას. სწორედ ეს იყო აღნიშნული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობარში... 1951 წლამდე.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ამაღორძინებლის პიერ დე კუბერტენის იდეა კი ოდნავ სხვა იყო: ხუთი რგოლი მართლაც დედამიწის ხუთი ნაწილია, მაგრამ ფერები ისეა შერჩეული, რომ სულ მცირე ერთი მაინც ნებისმიერი სახელმწიფოს დროშას ამშვენებს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული ოპოზიცია შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გადადგომას მოითხოვს

პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ თბილისსა და სოხუმს არა აქვთ ერთ სახელმწიფოში არსებობის გამოცდილება

ქართული ოპოზიცია მოითხოვს შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის საკითხების სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის გადადგომას. მიზეზი გახდა მისი ამასწინანდელი განცხადება აფხაზეთთან დაკავშირებით. კერძოდ, როდესაც აშუქებდნენ თბილისში გამართულ დისკუსიას „კონფლიქტების მოწესრიგების პოლიტიკა: უკანასკნელი სამი წლის მიღწევები და გამოწვევები“, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მოიყვანეს სახელმწიფო მინისტრის სიტყვები იმის შესახებ,რომ აფხაზეთი, თითქოს, არ შედიოდა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში.

„ჩვენ გვაქვს აფხაზეთთან სახელმწიფო მოწყობის მხოლოდ ერთადერთი გამოცდილება — საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი, სხვა გამოცდილება კი ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა“, — მოჰყავთ ზაქარეიშვილის ნათქვამის ციტირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. თავად ზაქარეიშვილი მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფოს ფედერალიზაციას.

სახელმწიფო მინისტრი აღმოჩნდა არა მხოლოდ ოპოზიციის კრიტიკის ქვეშ, რომელიც ბრალს სდებს ზაქარეიშვილს პრორუსული პოლიტიკის განხორციელებაში, მას ამგვარი გამონათქვამისათვის ხელისუფლების წარმომადგენლებიც აკრიტიკებენ.

ოპოზიციამ მოითხოვა ზაქარეიშვილის გადადგომა ისევე, როგორც მთელი მინისტრთა კაბინეტისა, განაცხადა, რომ ამგვარი „ანტისახელმწიფოებრივი“ პოლიტიკის გამო, რასაც ხელისუფლება ახორციელებს, რუსული ოკუპაციის ხაზი თანდათანობით იწევს იმ ტერიტორიის სიღრმეში, რომელსაც თბილისი აკონტროლებს, ხოლო ეთნიკური ქართველების უფლებები ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში იბღალება კიდევ უფრო მეტად.

სახელმწიფო მინისტრს მოუწია, გამოსულიყო განმარტებებით. როგორც მან 30 ნოემბერს განაცხადა, მისი სიტყვები „ამოგლეჯილი იყო კონტექსტიდან“ და მას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ის, რომ საქართველოს არ გააჩნია აფხაზეთთან ერთ სახელმწიფოში არსებობის გამოცდილება სსრ კავშირის დაშლის შემდეგ.

„მე განვმარტე ეს ტერმინი — პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ-სახელმწიფო სივრცეში, შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება შევიმუშაოთ ახალი ფორმატი, ვინაიდან არ გვინდა ის წყობილება, რომელიც იყო სსრ კავშირში, და ამის შესახებ ყველამ ყველაფერი დაივიწყა. რუსეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია მთელი მსოფლიოსათვის. საქართველომ უნდა შეიმუშაოს რაღაც სისტემა, სადაც აფხაზებთან ერთად იცხოვრებენ ერთიან სახელმწიფოში“, — განუცხადა პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს.

„არაადეკვატური განცხადება“

ქართულმა ოპოზიციამ სახელმწიფო მინისტრის განმარტება არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა ჩვენი სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ, ზაქარეიშვილმა, რომელიც წარსულში იყო არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, დღემდე ვერ გაიგო, რომ მინისტრია და, შესაბამისად, არ აქვს უფლება, გამოხატოს თავისი კერძო აზრი, თუ მას წინასწარ არ შეუთანხმებს ქვეყნის ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებს.

ოპოზიციური დეპუტატი ასევე მიიჩნევს, რომ ნებისმიერი დისკუსიები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მომავლის შესახებ სამომავლო საქმეა და, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მივაღწიოთ ამ რეგიონების დეოკუპაციას, რათა შეიქმნას შესაძლებლობა — ვაწარმოოთ დიალოგი „არა მხოლოდ კრემლის მიერ დაყენებულ მარიონეტულ რეჟიმთან, არამედ აფხაზ და ოს პატრიოტებთან“.

„სანამ იქ ყველაფერს რუსეთი აკონტროლებს, დიალოგის წარმოებას მარიონეტულ რეჟიმებთან აზრი არა აქვს, ასე რომ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციამდე, ზაქარეიშვილის მხრიდან ასევე არაადეკვატურია ვისაუბროთ ფედერალიზმის შესახებაც“, — აღნიშნა დარჩიაშვილმა ინტერვიუში.

ექსპერტის აზრი

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარემ გია ნოდიამ ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ აკადემიურ წრეებში არსებობს საქართველოსგან გამოყოფილ რეგიონებთან კონფლიქტებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა. ერთ-ერთი მათგანი მას აღიქვამს, როგორც რეალობას, რომ ერთიან სახელმწიფოდ არსებობის პერიოდში გარკვეული მიზეზების გამო თბილისის იურისდიქციამ შეწყვიტა ამ რეგიონებში გავრცელება. აუცილებელია იმაზე მუშაობა, რომ აღვადგინოთ გათიშული სახელმწიფოს მთლიანობა. მეორე მიდგომა აღიქმება როგორც რეალობა, რომ საქართველო და ეს რეგიონები არიან ცალკეული სუბიექტები და, გაერთიანდებიან თუ არა ისინი ერთიან სახელმწიფოში, დამოკიდებულია იმაზე — შეძლებენ თუ არა ისინი შეთანხმდნენ ამ საკითხში. გია ნოდიას აზრით, სახელმწიფო მინისტრს, როგორც კერძო პირს, შეუძლია ჰქონდეს ინდივიდუალური აზრი და მხარი დაუჭიროს მეორე მიდგომას. მაგრამ, ამბობს ექსპერტი, ამგვარი განცხადება მინისტრის რანგში „ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას“, ვინაიდან იგი მალიანად ეწინააღმდეგება საქართველოს პოლიტიკურ პოზიციას, რომელსაც წლების განმავლობაში მხარს უჭერდა ქვეყნის ყველა ხელისუფლება, მათ შორის დღევანდელიც.

ნოდიას სიტყვებით, პაატა ზაქარეიშვილის ეს განცხადება „ფაქტობრივად“, ასევე არასწორია. ისტორიული ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებენ: ქვეყნის მიერ 1918 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აფხაზეთი იყო საქართველოს იურისდიქციის ქვეშ 1921 წლამდე, რაც აღიარა მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის რუსეთმაც. ასევე, ამბობს გია ნოდია სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ამ ტერიტორიაზე 1993 წლამდე ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთში ცხოვრობდნენ 48 პროცენტი ქართველები და 17 პროცენტი აფხაზები. დღეს, აფხაზეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად, იმ ქართველების რიცხვი, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში, შემცირდა 19,26 პროცენტამდე, მაშინ როდესაც ეთნიკური აფხაზების წილი 50, 71 პროცენტამდე გაიზარდა.

როგორც ცნობილია, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის — დამოუკიდებლობა აღიარა და გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება თავის სამხედრო ბაზებზე ამ ტერიტორიებზე. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გამოკლებით, ამ რეგიონებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ნიუ-იორკის პარლამენტის ექს-სპიკერი მიიჩნიეს დამნაშავედ კორუფციაში

ყოფილ კანონმდებელს შელდონ სილვერს ეს თანამდებობა 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეკავა. ამ პერიოდში მან მოასწრო ქრთამებისა და გაიძვერობის წყალობით სულ ცოტა 5 მილიონი დოლარის მოგროვება. თავად პოლიტიკოსი გაწბილებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით და განზრახული აქვს, გააპროტესტოს იგი.

სოროსის ფონდი უარყოფს გენერალური პროკურატურის ბრალდებას, რომელმაც არაკომერციული ორგანოს საქმიანობაში საკონსტიტუციო წყობის საფრთხე დაინახა

ფონდ „ღია საზოგადოებაში“ განაცხადეს, რომ შეშფოთებული არიან ამ გადაწყვეტილებით და აღნიშნეს, რომ საუკუნის მეოთხედზე მეტი ხნის განმავლობაში ხელს უწყობდნენ კანონის და სამოქალაქო უფლებათა დაცვის ინსტიტუტის განმტკიცებას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ასევე გამოთქვა შეშფოთება ფონდის გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით და მოუწოდა რუსეთის ფედერაციის მთავრობას, შეასრულოს თავისი ვალდებულებანი სიტყვის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის დაცვასთან დაკავშირებით.



პენტაგონი იმედოვნებს, რომ რუსეთი არ გამოიყენებს რაკეტებს კოალიციის წინააღმდეგ

ამგვარი სისტემები კიდევ უფრო მეტად გაართულებენ ისედაც რთულ სიტუაციას სირიის თავზე, განაცხადა ამერიკის სამხედრო უწყების წარმომადგენელმა, პოდპოლკოვნიკმა, ქალბატონმა მიშელ ბალდანსმა. მან გამოთქვა აზრი, რომ რაკეტები ვერაფერს გააკეთებენ ტერორისტულ დაჯგუფება, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლისათვის, რომელსაც საჰაერო ძალები არ გააჩნია.

ბურკინა-ფასოში პირველად 28 წლის განმავლობაში, აირჩიეს ახალი პრეზიდენტი

ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პროგრესისათვის სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელი როკ კრისტიან კაბორე აირჩიეს ქვეყნის ახალ პრეზიდენტად არჩევნების პირველი ტურის შედეგად, რომელიც გასულ კვირას გაიმართა. ეროვნული საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მან ამომრჩეველთა ხმების 53,49 პროცენტი შეაგროვა.

აშშ-მა გადაწყვიტა, გაამკაცროს უვიზო შესვლის პროგრამა პარიზის ტერორისტული აქტების შემდეგ

ეროვნული უშიშროების სააგენტომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა გადასინჯონ არსებული პროგრამა და 60 დღის განმავლობაში შესთავაზონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას თავისი იდეები უშიშროების ზომების გამკაცრების შესახებ. ვარაუდობენ „ბიომეტრიული მონაცემების შეკრების“ შემოღებას „უშიშროების დონის საიმედოდ ამაღლებისათვის“.

მთვარეზე აღმოაჩინეს მისია „აპოლონ-16“-ის დამაჩქარებლის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი კრატერი, იგი 43 წლის წინათ დაიკარგა

„ნასას“ ასტრონავტებმა დაშალეს რაკეტა „სატურნის“ მესამე საფეხური მთვარის ზედაპირზე, რათა შეეფასებინათ სეისმური რეაქცია. მაგრამ თვალყურის დევნების სისტემა დაიკარგა და კრატერის ადგილსამყოფელი უცნობი დარჩა მანამ, სანამ დაცემის რაიონის ფოტო არ გადაიღეს მაღალი სიზუსტის კამერით.



◎ ენა ჩვენი, ქართული

კლიმატური თუ მეტეოროლოგიური პირობები?

„კლიმატური მონაცემებით, საქართველოში დეკემბერი ნოემბერთან შედარებით 3-6 გრადუსით ცივია“. მოყვანილ მაგალითში **კლიმატური** კი არა, **მეტეოროლოგიური** მონაცემები უნდა იყოს.

ამ მოსაზრების სისწორეს გვიდასტურებს თვალსაჩინო გეოგრაფი ლევან მარუაშვილი. როცა გამოთქმას – „კლიმატური პირობები“ – ეხებოდა, იგი წერდა, რომ ამ გამოთქმით „გაზეთებში, ტელერადიოგადაცემებში ... აღინიშნება ხოლმე ხანმოკლე – რამდენიმე დღის ან კვირის – მეტეოროლოგიური ვითარება – გაძლიერებული თოვა, გრიგალისებური ქარი, ზვავიანობა, მკვეთრი აცივება და სხვ. კლიმატი ეწოდება რომელიმე ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების წლიურ ან, უფრო ზუსტად, მრავალწლიურ ხასიათს ... ის, რისი მოწმენიც დღეთა განმავლობაში ვართ ხოლმე, არის მეტეოროლოგიური ვითარება, ანუ ამინდი, რომელიც შეიძლება არც იყოს ადგილობრივი კლიმატისათვის ტიპობრივი და დამახასიათებელი. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი სტიქიური **გამოვლინებების აღსანიშნავად უნდა ვილაპარაკოთ მეტეოროლოგიურ მოვლენებზე, ანუ ამინდზე“.**

ერთი ტერმინის შესახებ

დიდი ხნის წინათ ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილ მასალაში ასეთმა ფრაგმენტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება: „...დაავადების შედეგად **დაცემული** ღორები...“ გაზგასმული სიტყვა ერთობ ხშირად იხმარება პრესის ენაში („გარდაბანში 2540 **ღორი დაეცა**... დღეისათვის გარდაბნის რაიონში **ღორის დაცემის** 2500 ფაქტია რეგისტრირებული), როცა იმ ხანებში გადავეყარეთ ჩვენთვის იშვიათ ჭირს – ღორის აფრიკულ ცხელებას, რომელმაც ხელი დარია ღორებს და ამით დიდად დააზარალა მესაქონლეობა).

მაინც რას ვუწუნებთ ამ სიტყვას? იმას, რომ იგი, ალბათ რუსულ падёж სიტყვის არასწორად გაგების გამო, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, არადანიშნულებისამებრ არის ნახმარი. რა უნდა ყოფილიყი მის მაგივრად? რა და: **გამწყდარი.** ამ სიტყვას, **გაწყდება** ზმნასა და მისი მოქმედების გამომხატველ სახელს – **გაწყდომა-ს** – გვიდასტურებს ყველა აკადემიური წყარო – „ქართული ენის განმარტებითი ლ-ნი“, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლ-ნი“, „სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია“, „რუსულ-ქართული ლ-ნი“: **გაწყდომა** (საქონლისა), **გამწყდარი** საქონელი (ხვასტაგი, პირუტყვი).

ჩვენც ეს უდავოდ სწორი ფორმები უნდა გამოვიყენოთ.

ოთარ კაპანაძე

◎ ერი და დემოგრაფია

ჩინური „ერთში-ერთის“ დასასრული

(მეექვსე გვერდიდან)

ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელზე გადასვლა გულისხმობს მეტ ლიბერალიზაციას ქვეყნის შიგნით და მეტ საერთაშორისო გახსნილობას. ამ კუთხით უნდა შევხედოთ ჩინეთის კომპარტიის ზემოხსენებული პლენუმის გადაწყვეტილებას მოხუცებულობის პენსიის ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე გავრცელების თაობაზე – მანამდე იგი მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლებზე მთელი მოსახლეობის მხოლოდ 55 პროცენტს ეხებოდა. ამის გარდა, ჩინეთის ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯები მეტი საერთაშორისო გახსნილობისაკენ და დართო ნება უცხოურ კაპიტალს ინვესტიციების განხორციელებისა ისეთ დარგებში, რომლებიც მანამდე მათთვის დახურული იყო (ელექტროენერგეტიკა, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, სამშენებლო, მათ შორის ინფრასტრუქტურის და მომსახურების სექტორები). საქმიანობის დახურული სფეროების რაოდენობა ჩინეთში ორჯერ და მეტად შემცირდა – 79-დან 38-მდე.

რაც შეეხება დემოგრაფიულ პოლიტიკაში ცვლილებებს, სავარაუდოდ, ჯარიმების სისტემა ზედმეტი ბავშვის ყოლაზე არ გაუქმდება, თუმცა **ჯარიმების მთელი ტვირთი გადავა მეორედან მესამე ბავშვის ყოლაზე.** ესაა, რომ სოციოლოგიური გამოკითხვებით, **30 წელზე ახალგაზრდა ჩინელთა ნახევარს უკვე თავად აღარ სურს ორ ბავშვზე მეტის ყოლა.** ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შობადობის კოეფიციენტმა 2-ს მიაღწიოს – იგი კარგა ხნის მანძილზე, ალბათ 2-ზე ნაკლები დარჩება. აქედან გამომდინარე, **დემოგრაფიული ლიბერალიზაცია არ არის იმის გარანტი, რომ მოსახლეობის მატება მკვეთრად გაიზრდება.** – განათლების დონის ამაღლებამ, ცხოვრების წესის შეცვლამ, დაქორწინების ასაკის გადაწევამ გამოიწვია ის, რომ ჩინელი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს აღარ სურს მრავალშვილიანი ოჯახი, რადგან ისინი უპირატესობას ცხოვრების ხარისხს (განათლება, ჯანმრთელობა, ბავშვთათვის კარგი საბავშვო ბაღი და ა.შ.) ანიჭებენ, რაც პირდაპირ უკავშირდება ფინანსურ შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა „ერთი ოჯახი – ერთი ბავშვი“ ფაქტობრივად დასრულდა, მისი შედეგების სრული შეფასება ჯერ კიდევ დროის ამბავია. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პროგრამის, ისევე როგორც მთლიანობაში ჩინეთის განვითარების მაგისტრალური ხაზი განსაზღვრა ეკონომიკურმა რეფორმებმა, რეფორმებმა და ინვესტიციებმა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, რომელთა შედეგადაც **ამ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი 2015 წლისთვის 1980 წელთან შედარებით 27-ჯერ(!) გაიზარდა** და ჩამორჩენილი სუსტად განვითარებული სახელმწიფოდან მსოფლიოს პირველ ეკონომიკად გადაიქცა. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ეკონომიკის აღნიშნული ზრდა ემთხვეოდა პერიოდს, როდესაც საზოგადოებაში მცირდებოდა ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობა.** შენარჩუნდება თუ არა ეს პროცესი, როდესაც ჩინეთში დაიწყება ბავშვებისა და მოხუცების რაოდენობისა და წილის ზრდა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

„ერთი ოჯახი – ერთი ბავშვის“ დემოგრაფიული ეპოპეა ჩინეთში დასრულდა, თუმცა თავისი გრძელვადიანი შედეგებით იგი კიდევ დიდხანს დარჩება ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი. ხოლო შენარჩუნდება თუ არა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი დემოგრაფიული პოლიტიკის შეცვლის, მეორე ბავშვის ყოლის ნებადართულობის, სამუშაო ძალის რიცხოვნობის შემცირებისა და გაძვირების პირობებში, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.

იეროგლიფური დამწერლობის მქონე დიდი ერი თავის თანამედროვე ისტორიის წერას აუჩქარებლად განაგრძობს...

იოსებ არჩვაძე.

საქმე №1/101-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 27 ნოემბერი 2015 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ნინო კირცხალია

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 20 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ნინო კირცხალიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 15 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ნინო კირცხალიას შორის დაიდო №051573322 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 7000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 54 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნინო კირცხალიას ოთხჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციისა და ფაქტობრივი მისამართის მიხედვით, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე მოუკითხობის/არასწორი ან არასრული მისამართის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნინო კირცხალიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნინო კირცხალია ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნინო კირცხალიას (პირადი №01010005455) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ნინო კირცხალიას განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნინო კირცხალიას ეცნობოს, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნინო კირცხალიას მიმართ.

5. ნინო კირცხალიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ კარატე

ოთხი მედალი და გუნდური მესამე

საძართველოს წარმომადგენლებმა წარმატებით იასპარეზეს ახალგაზრდა კარატისტთა ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც პოლონეთის ქალაქმა ბიტომმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 20 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს, ამდენივე ვერცხლის მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილი დაიკავა. პირად პირველობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლევან ვერულიძე (85 კგ.) და სერგო მოვსესიანი (65 კგ.). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს ლაშა ოზბეთელაშვილმა და თამარ ბიბილეიშვილმა, რომლებიც მეორე ადგილებს დასჯერდნენ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

მარცხის მიუხედავად, 95 ქულა დაიმსახურა

გასულ კვირას ჩვენმა ჩოგბურთელმა ქალებმა სამ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ოქსანა კალაშნიკოვამ ამერიკის ქალაქ კარლსბადის შეჯიბრებაში (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) წყვილთა შორის მოსინჯა ძალები გერმანელ ტატიანა მარიასთან ერთად. პირველ ნომრად განთესილებმა. სტარტზე ელიზა კოსტოვას (ბულგარეთი) და მარინა მელნიკოვას (რუსეთი) ტანდემი დაამარცხეს — 6:2, 6:3, შემდეგ მეოთხე განთესვის მქონე იულია გლუშკოს (ისრაელი) და რებეკა პეტერსონს (შვედეთი) აჯობეს — 7:6, 6:3, გადამწყვეტი დუელი კი გაბრიელა სეს (ბრაზილია) და პარაგვაელ ვერონიკა სეპედე როიგის დუეტთან წააგეს — 6:1, 4:6, 8:10. მარცხის მიუხედავად, კალაშნიკოვამ 95 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

ამომავალი მზის ქვეყანაში 75.000-იანი ტურნირის ერთეულთა პაექრობაში სოფიო შაფათავამ ორ მეტოქეს კი სძლია - ბელგიელ ელის მერტენსსა (7:5, 6:3) და მასპინძელ იუუკი ტანაკას (6:4, 6:7, 6:2), თუმცა, მეოთხედფინალში რუს ქსენია ლიკინას დანებდა — 6:3, 2:6, 5:7.

ანტალიაში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ეკატერინე გორგოძემაც ორი მეტოქე დაჯაბნა -— გერმანელი ქრისტინა შაკოვეცი (6:3, 6:2) და შვეიცარიელი კიარა გრიმი (4:6, 6:4, 6:2), მაგრამ მეოთხედფინალში მოლდოველ ანასტასია ვდოვენკოს ვერ გასცდა — 6:3, 3:6, 3:6. გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია ანტალიაში დარჩნენ და ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებნენ.

წინა კვირას მოპოვებული ქულების გათვალისწინებით გამოქვეყნდა ჩოგბურთელთა განახლებული რეიტინგები. ქართველთა მონაგარი ასეთია:

ერთეულები. 208 (216). სოფიო შაფათავა (249), 378 (395). ეკატერინე გორგოძე (95), 384 (377).

სოფიო ქვაცაბაია (93), 466 (507). მარიამ ბოლქვაძე (63), 650 (647). ოქსანა კალაშნიკოვა (31), 771 (866). თინათინ ყავლაშვილი (20), 1100 (1096). თამარ ჭალაგანიძე (7), 1201 (1197). ანა შანიძე (4).

წყვილები. 70 (75). ოქსანა კალაშნიკოვა (1080 ქულა), 137 (135). სოფიო შაფათავა (492), 160 (155). ეკატერინე გორგოძე (417), 347 (346). სოფიო ქვაცაბაია (147), 672 (670). მარიამ ბოლქვაძე (45), 773 (772). თინათინ ყავლაშვილი (30), 1113 (1105). ანა ახალკაცი (11), 1113 (1105). ანა შანიძე (11), 1186 (1181). თამარ ჭალაგანიძე (9).

ლექსო ცინცაძე

◎ სპორტი და უმაღლესი სკოლა

ნიგერიულ ნოტებზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან ერთად სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

მომავალი მედიკოსები თამამად ცდიან ბედს ხელოვნებასა და სპორტში და, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევიან.

უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი — ზაურ ფხალაძე) და ამავე ცენტრის თანამშრომლის, საუნივერსიტეტო საფეხბურთო ნაკრები გუნდის მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ვახტანგ ბაქანიძის ორგანიზებით, თვითმმართველობის (გიორგი საღინაძე) ჩართულობით და აქტიურობით არაერთი საფეხბურთო ტურნირი ტარდება, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად აქტიურობენ უცხოელები.

ახლახან გამართული მემორიალი დიდი ქართველი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ვლადიმერ ელოშვილისა და გრიგოლ გაგუას ხსოვნას მიეძღვნა.

გაუწყებთ 16-გუნდიანი ასპარეზობის დასკვნითი შეხვედრების შედეგებს.

ნახევარფინალი. „ნიგერია“ — „პირველკურსელები“ 4:2, „მომავალი მედიკოსები“ — „თურქეთი“ 4:1.

ფინალი. „ნიგერია“ — „მომავალი მედიკოსები“ 6:4. მესამე პრიზიორები „პირველკურსელები“ გახდნენ (გუნდის კაპიტანი საბა გაბაძე).

ინდივიდუალური პრიზებით აღინიშნა ხსოვნის ტურნირის გამორჩეულ მონაწილეთა ოსტატობა. ესენი არიან თსსუ ნაკრების წევრები: მეკარე — გიორგი ნოზაძე, ტექნიკური ფეხბურთელი — შოთა ჩხეიძე, თავდამსხმელი და გამარჯვებულთა კაპიტანი — ალეკო ბერიძე, ბომბარდირი — ერხან ჩეთინი (14 გოლი, „თურქეთი“), საუკეთესო მოთამაშე — კლიფ-ნჯაჰ ვერეოვაჯი („ნიგერია“).

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ფერნანდესის იძულებითი უქმობა

მადრიდის „რეალს“ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი რუდი ფერნანდესი დაემტვრა. „სამეფო კლუბის“ მცველმა ზურგის ტრავმა მიიღო და, წინასწარი ინფორმაციით, მოედანზე 2-3 თვე ვერ გავა.

რუდიმ გასულ უქმეებზე უკვე გამოტოვა ესპანეთის ჩემპიონატში „ბილბაოსთან“ შეხვედრა და, დიდი შანსია, თებერვალში დაგეგმილ ქვეყნის თასის გათამაშებასაც დააკლდეს.

უდავოა, რომ ფერნანდესის არყოფნა „რეალს“ ევროლიგაზეც დაეტყობა, სადაც გუნდი საშინლად თამაშობს და 7 ტურის თავზე ორადორი მოგებით A ჯგუფში ბოლო (!) ადგილი უკავია.

ევროლიგის მიმდინარე სეზონში 30 წლის ესპანელი ვარსკვლავის საშუალო მონაგარი 10 ქულა, 3.3 მოხსნა და 2.3 პასია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ელენ სვედინის გულახდილი აღიარება

ლეგენდარული პორტუგალიელი მობურთალის ლუიშ ფიგუს ცოლი ელენ სვედინი, ალბათ, უკვე იცით, რომ თავის დროზე ერთობ ქარიშხლიანი ცხოვრებით ცხოვრობდა და მისი წარსულის ფურცლებს თუ გავქექავთ, აღმოვაჩენთ, რომ მშვენიერი ელენი თავის დროზე პორნომსახიობიც კი ყოფილა.



წარსული წარსულია და იგი შეგვახსენებს თუ არა თავს, მაინც ვერსად გავექცევით. ელენიც, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეეგუა იმ აზრს, რომ მწყაზარი ბანოვანის ყალბი როლის თამაში არაფერში არგია და ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში გულახდილად ისაუბრა თავის წარსულზე და აწმყოზეც.

ელენ სვედინის თქმით, მას და ლუიშს უკვე იმდენწლიანი ცოლ-ქმრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, რომ მათი განშორება ვერა ძალით ვერ მოხდება და მას უბრალოდ არანაირი პრობლემა აღარ აქვს ლუიშის მხრიდან, რომ აღიაროს თავისი წარსული და საჯაროდ თქვას, თუ რაოდენ უყვარდა ფეხთა აპლაკვა კამერების წინ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სანთელი

გურამ დოლენჯაშვილი

„ძველი გვარდიის“ კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახდა ამ დღეებში უკვდავების ბინადარი.

გურამ დოლენჯაშვილის სახელს ქართული სპორტის მრავალი წარმატებისა თუ იმედგაცრუების ამსახველი კადრის აღბეჭდვა უკავშირდება. საკმარისი იყო სარედაქციო დავალება მიეღო, ეს გამორჩეული აღნაგობის და ხელწერის ფოტოხელოვანი მყისვე მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდებოდა და მის მიერ „შეჩერებული წამით“ გულშემატკივარი ოპერატიულად ეცნობოდა მისთვის საინტერესო მატჩისა თუ ტურნირის პერიპეტიებს.

მაშინ, როცა მასმედია დილეტანტებმა წალეკეს და სულ უფრო ხშირად გვესმის წუწუნი პროფესიონალთა დეფიციტის თაობაზე, კიდევ უფრო დასაფასებელი ხდება „ლელოში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სარბიელში“, ჩვენს გაზეთსა და განათლების სისტემაში დაოსტატებული საქმის კაცის კომპეტენტურობა.

აღსასრულიც სიმბოლური ხვდა — ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შესულმა, საფეხბურთო შეხვედრის ეპიზოდების გადაღება ვერ მოასწრო და, კოლეგათა მკლავებში მოქცეულმა, ერთგვარი ესტაფეტა მომავალ ფოტორეპორტიორებს გადაულოცა...

უფალმა გაანათლოს მისი სული!

„სრ“ სპორტის რედაქცია

სულთათანა

იურიდიული საზოგადოების დიდი დანაკლისი

88 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი მეცნიერი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი **მზია ლეკვეიშვილი**.

ქალბატონმა მზიამ ვრცელი და უაღრესად საინტერესო გზა განვლო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მეცნიერებისკენ მას გზა დაულოცეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან ივ. სურგულაძე, თ. წერეთელი, ვლ. მაყაშვილი და ალ. ვაჩეიშვილი.

მან სამეცნიერო ხარისხი სამართლის ისტორიაში დაიცვა, მაგრამ ქართული სისხლის სამართლის სკოლის ფუძემდებლის პროფ. თ. წერეთლის რჩევით კვლევა სისხლის სამართლის მეცნიერების მიმართულებით განაგრძო. სწორედ თ. წერეთლის შეთავაზებით დაიწყო მუშაობა ეკონომიკისა და სამართლის (ამჟამად თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის) ინსტიტუტში. მოგვიანებით კი აკადემიკოს ევგენი ხარაძის ინიციატივით საქმიანობა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე მოღვაწეობდა.

ქალბატონი მზია არა მხოლოდ ცნობილი პედაგოგი და მეცნიერი, არამედ შესანიშნავი ორგანიზატორიც იყო. წლების განმავლობაში მუშაობდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობებზე, ხოლო ბოლო 5 წლის მანძილზე კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

იგი არაერთხელ იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის შემმუშავებელი კომისიის წევრი. მოქმედ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში მისი ინიციატივით არაერთი პროგრესული დებულება აისახა. იგი თავის დროზე აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

პროფესორ მზია ლეკვეიშვილის არაერთი დამსახურებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა რეჟიმის არსებობის დროს ქართული ენის დასაცავად მის მიერ გამოხატული პრინციპული პოზიცია, რაც მაშინ სამოქალაქო გმირობის ტოლფასი იყო. მაშინ, როცა საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა, რუსული ენა საქართველოში სახელმწიფო ენად დაეკანონებინა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ სექტორზეც ზოგიერთი საგნის სწავლება ამავე ენაზე ყოფილიყო, მან ქართული პრესის ფურცლებზე უშიშრად და ხმამაღლა გამოხატა თავისი კრიტიკული მოსაზრება ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში რუსული ენის ცოდნის ასამაღლებლად რუსულად ზოგიერთ საგანში ლექციის წაკითხვა გაუმართლებელი იყო, რაც მშობლიური ენის დაკნინებას გამოიწვევდა. თამამად გამოხატული აზრის გამო იგი უშიშროების ორგანოებში დაიბარეს დაკითხვაზე, მაგრამ ამას იგი ოდნავადაც არ შეუშინებია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაშინ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობდა და მის კარიერას საფრთხე ემუქრებოდა...

მისი ავტორობით გამოცემულ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოზე თაობები აღიზარდა. იგი ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში.

მის ხელში გაიარა არაერთმა თაობამ, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო ასპარეზზე, თუ სამართალდამცავ ორგანოებში. სტუდენტებთან ურთიერთობაში იგი მომთხოვნი იყო, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა წონასწორობას და მისი სიმკაცრე არასდროს არ სცდებოდა ადამიანური ზომიერებისა და სამართლიანობის ფარგლებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებული პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს მისთვის ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭება.

იგი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტის, და ზოგადად, ადამიანების მორალურ მხარეს. მისთვის სტუდენტის თუ დოქტორანტის ცოდნაზე და აკადემიურ მომზადებაზე ნაკლები მნიშვნელობა არ ჰქონდა მათ ადამიანურ თვისებებს. ქალბატონი მზია ამ მხრივ განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. იგი, ამასთან ერთად, მის მოწაფეებს ხშირად ურჩევდა, რომ ადამიანში უნდა ეძებონ დადებითი და არა უარყოფითი თვისებები, ვინაიდან არ არსებობს იდეალური ადამიანი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ერთი თვისება, რომელიც ქალბატონ მზიას ახასიათებდა: მისთვის მიუღებელი იყო მლიქვნელობა და მაამებლობა. იგი ყოველთვის გამოხატავდა ადამიანებისა თუ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ თავის დამოკიდებულებას, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა იშვიათი გულწრფელობით. არასდროს არ კარგავდა ობიექტური შეფასების უნარს, ვისაც არ უნდა შეხებოდა საქმე. მისი შეფასება არასდროს არ იყო ცალმხრივი. მას ერთნაირი ობიექტურობით შეეძლო ადამიანის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი თვისებების შეფასება. ამასთანავე თანამშრომლების მიმართ იყო ზედმიწევნით კოლეგიალური. რაც შეეხება სტუდენტებთან ურთიერთობას, მას შეეძლო, სტუდენტი შეეფასებინა უარყოფითად, როცა იგი ამას იმსახურებდა, და მიუხედავად ამისა, დარჩენილიყო მის მეგობრადაც.

მასთან ურთიერთობაში შეგეძლო, არა მხოლოდ მისი აზრის თანამოზიარე გამხდარიყავი, არამედ საკუთარი თავიც უფრო მეტად გამოგეხატა. სტუდენტებთან და დოქტორანტებთან მისი ურთიერთობა აკადემიური თავისუფლების პრინციპებს ეფუძნებოდა.

ქალბატონ მზიას ყოველთვის ახარებდა სხვისი წარმატება. მას ისევე უხაროდა კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების წარმატება, როგორც საკუთარი.

ამ და სხვა ღირსეული თვისებების გამო ქალბატონი მზია გამორჩეულად უყვარდათ როგორც კოლეგებს, ისე სტუდენტებს.

ქალბატონი მზიას, როგორც გამორჩეული პიროვნული თვისებების, პრინციპული და კეთილშობილი ადამიანის სახე მუდამ იცოცხლებს მისი მოწაფეების, კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში!

* * *

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება ხუთშაბათს, 3 დეკემბერს 11 საათიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ცენტრალურ ფოიეში. გამოსვენება 14 საათზე.

მოწაფეები, კოლეგები, მეგობრები.

მეუღლე მარინა დოხნაძე, და მარინა არშბა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ (მამული) სოკრატის ძე არშბა

პანაშვიდი 2 XII, 17 სთ. დაკრძალვა 3 XII, 15 სთ. მისამართი: კოსტავას ქ. №75, XI საფარბაზო.

ლევან მიროტაძე იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველთა და აფხაზთა ღირსეული შვილი

მამული არშბა

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ

მზია ლეკვეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ტრაგიკულად დაღუპული მამა ილია კარტოზიას ოჯახს სიმამაცის სიგელი გადაეცა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 2014 წელს ადრიატიკის ზღვაში ტრაგიკულად დაღუპული არქიმანდრიტის მამა ილია კარტოზიას ძმას, ნიკა კარტოზიას ის სიგელი გადასცა, რომლითაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ მამა ილია კარტოზია ზღვაში ჩადენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის დააჯილდოვა.

„მე გასულ კვირას ვიზიტით გახლდით ლონდონში, სადაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოჯი სეკიმიცუმ პირადად გადმომცა მამა ილია კარტოზიასთვის დაწესებული ეს ჯილდო მისი ოჯახისთვის გადასაცემად. მსურს, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელს ჩვენი გმირულად დაღუპული თანამემამულის თავგანწირვის განსაკუთრებული დაფასებისთვის და მათ მიერ დაწესებული ეს ჯილდო გადავცე მამა ილია კარტოზიას ძმას, ბატონ ნიკა კარტოზიას. აღსანიშნავია, რომ ასეთი დონის საზღვაო ჯილდო აქამდე საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მიუღია“ — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია 2014 წლის 28 დეკემბერს იტალიურ ბორანზე გაჩენილი ხანძრის დროს უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ცეცხლმოკიდებულ გემზე მიმდინარე სამაშველო ოპერაციის დროს მამა ილიამ სამაშველო ნავში თავისი ადგილი ბავშვიან ქალბატონს დაუთმო, თავად გემბანზე დარჩა და მაშველებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

დეკემბერი ყინვით შემოგრძანდა

გარემოს ეროვნული სააგენტო მოსალოდნელი ამინდის პროგნოზს ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, 1-4 დეკემბერს საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი, ზოგან ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი, იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი.

3-4 დეკემბერს მკვეთრად დაეცემა ჰაერის ტემპერატურა. 4 დეკემბერს დაბლობსა და ბარშიც ნალექი შესაძლოა, თოვლის სახით აღინიშნოს.

„ნიკორა“ დააყაჩაღეს

თბილისში, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში „ნიკორას“ სუპერმარკეტი დააყაჩაღეს.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელი „ნიკორაში“ ღამით შეიჭრა და თანხის მოთხოვნით ცეცხლი გახსნა.

შემთხვევის დროს დაიჭრა დაცვის თანამშრომელი, რომელიც ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია ჩაუტარდა.

როგორც მედიანიუსს ინგოროყვას კლინიკაში განუცხადეს, 51 წლის მამაკაცი კლინიკაში მრავლობითი ცეცხსასროლი ჭრილობებით შეიყვანეს და მას ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია.

„ის ამჟამად რეანიმაციაში იმყოფება და მისი მდგომარეობა არის კრიტიკული“, — ამბობენ ინგოროყვას სახელობის კლინიკაში.

განცხადება

2016 წლის 20 იანვარს, 3 საათზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — თამარ მეფის ქუჩა №1 გაიმართება ქვიშარის ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიშარის ტერიტორიაზე არსებული ასფალტ-ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლას წარმადობით 21000 ტ/წელ.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა — თამარ მეფის ქუჩა №1;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 44 39.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- როსტომ ბერაძე ტელ: 599244937 E-mail: ambrolaurisavtogza10@gmail.com
- ვახტანგ გვახარია ტელ: 59950433; E-mail: v.gvakharia@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს “ამბროლაურის ავტოგზა №10“-ის ადმინისტრაცია.

◎ ჩვენი კარაბადინი

მშიერი ქალები

ქალებს არ ჰყოფნით ნებისყოფა შიმშილის გრძნობის დათრგუნვისათვის, გამოარკვიეს აშშ-ის მეცნიერებმა ექსპერიმენტის დროს.

გამოკვლევის მონაწილე გახდა 100 ქალი და 100 მამაკაცი, რომლებსაც არ ჰქონდათ პრობლემები ზედმეტ წონასთან ან უკონტროლო მადასთან დაკავშირებით.

ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე მეცნიერებმა გამოსაცდელებს მისცეს მითითება – ჩვიდმეტი საათის განმავლობაში თავი შეეკავებინათ საკვების მიღებისგან. შემდეგ ეტაპზე მოხალისეები უნდა მსხდარიყვნენ თეფშის გვერდით, რომელზეც საყვარელი კერძი იყო, შეძლებოდათ დაეძლიათ შიმშილის გრძნობა.

ამოცანის შესამსუბუქებლად, ქალებსა და მამაკაცებს შესთავაზეს, ეფიქრათ სხვა რამეზე, მეცნიერები კი ამ დროს თვალყურს ადევნებდნენ მათი ტვინის აქტივობას.

ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალის შიმშილისათვის პასუხისმგებელი ტვინის მონაკვეთები აგრძელებენ აქტიურ ფუნქციონირებას. მაშინ, როდესაც მამაკაცთა ჯგუფის იგივე მონაკვეთები ნაკლებად აქტიურები იყო და ძლიერი სქესის წარმომადგენლები გაცილებით უკეთ ართმევდნენ თავს შიმშილის გრძნობის დათრგუნვას.

პირისპირ

პირისპირ ურთიერთობა დეპრესიის პროფილაქტიკის საუცხოო საშუალებაა, დარწმუნებული არიან ამერიკელი მეცნიერები ორეგონის შტატიდან. როდესაც შეისწავლეს 11 ათასი გამოსაცდელის სატელეფონო საუბრების, ელექტრონული და პიროვნებათაშორისი კონტაქტების სიხშირე, მედიკოსებმა აღნიშნეს, რომ დეპრესიის სიმპტომები გაცილებით უფრო ძლიერად იყო გამოვლენილი მათში, ვისაც ურთიერთობა მახლობლებთან და მეგობრებთან ჰქონდა არა პირისპირ, არამედ ტელეფონით ან ინტერნეტში. ისინი კი, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ნათესავებთან შეხვედრების დროს დაახლოებით სამჯერ კვირაში, 11,5 პროცენტით ნაკლებად იტანჯებოდნენ დეპრესიული სიმპტომებისაგან.

სიამაყე კომპანიისათვის

იმ თანამშრომლებს, რომლებიც ემოციურად არიან დაკავშირებული თავიანთ სამუშაოსთან, უფრო მაღალი აქვთ ფსიქოლოგიური კეთილგანწყობა, აჩვენა ამერიკელი ფსიქოლოგების ახალმა გამოკვლევამ. ამას გარდა, მუშაკები მიკერძოებულობის მაღალი დონით იშვიათად იტანჯებიან უძილობისაგან და ნაკლებად ღებულობენ საავადმყოფო ფურცლებს.

მეორე მხრივ, თავიანთი ორგანიზაციისადმი თანამშრომლების მიდრეკილება მნიშვნელოვნად ამცირებს კადრების დენადობას.

სხვათა შორის, სპეციალისტებმა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან ამ ცოტა ხნის წინათ მოაწყვეს ექსპერიმენტი და გამოარკვიეს: თანამშრომლები, რომლებსაც ბოსი აქებს, უფრო იშვიათად ტოვებენ სამსახურს. სპეციალისტები ურჩევენ ხელმძღვანელებს, აღნიშნონ ხელქვეითების ღირსებები და არა ნაკლოვანებები. ეს გაზრდის მუშაკთა პროდუქტიულობას.

მეფეები და კომბოსტოები

ფერმენტირებული საკვები (მაგალითად, მჟავე კომბოსტო ან იოგურტი) გვეხმარება, გავუმკლავდეთ ზომაგადასულობას, მორცხვობას და ურთიერთობის სხვა პრობლემებს, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს მერილენდის უნივერსიტეტიდან. მთელი საქმე პრობიოტიკებში ან „სასარგებლო“ ბაქტერიებშია: ისინი ქმნიან ხელსაყრელ გარემოს კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან დაკავშირებით, ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ხასიათსა და ქცევაზე.

გამოკვლევის დროს გამოკითხეს დაახლოებით 700 სტუდენტი – კურსდამთავრებული. იმათ, ვინც მეტ ფერმენტირებულ პროდუქტებს მოიხმარდა, ნაკლები სოციალური ურწმუნოება ჰქონდათ.

◎ ტესტი

ილუზიებსა და რეალობას შორის...

ტესტის დახმარებით გაიგეთ, რამდენად ხართ მოწყვეტილი სინამდვილეს ან, პირიქით, ცხოვრობთ მხოლოდ გონიერებით, დაივიწყეთ წარმოდგენები.

როდესაც უპასუხებთ ტესტის შეკითხვებს, ყოველ დადებით პასუხზე დაიწერეთ 5 ქულა, უარყოფითზე – 0 ქულა.

1. ხანდახან გიჩნდებათ სურვილი, გაემგზავროთ სამუდამოდ რომელიმე სხვა ქალაქში?
2. დღის განმავლობაში ხშირად გიჩნდებათ ცუდი და კარგი განწყობილება?
3. ხდება ხოლმე, რომ უსიამოვნებებს იმდენად გამოჰყავხართ წყობილებიდან, რომ ავადაც კი ხდებით?
4. გირჩევნიათ არ შეიბორკოთ მოქმედებათა გეგმით, როდესაც რაღაც სამუშაოს იწყებთ, ბევრ რამეში კი ემორჩილებით ინტუიციას?
5. ადვილია თქვენი წყენინება ან გაბრაზება?
6. უფრო მეტად გიყვართ რომანტიკული კომედიები და მელოდრამები, ვიდრე კინოს სხვა ჟანრები?
7. ხშირად იბნევით, მაგალითად, როდესაც სამუშაო ადგილზე იმყოფებით ან როდესაც გარშემომყოფებთან გაქვთ ურთიერთობა?
8. ეთანხმებით მტკიცებას, რომ ადამიანის ხასიათი – ესაა უმთავრესად მემკვიდრეობითი თვისება?
9. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ, როდესაც რაღაცაზე ფიქრობთ, გავიწყდებათ თქვენი სადგური ან გაჩერება?
10. სწორად იქცევიან ისინი, ვინც სასიყვარულო წერილებს ინახავს?
11. გიჭირთ დიდი სიჩქარის გადატანა?
12. მოულოდნელი განწყობილების გავლენით ხშირად ჩადიხართ რაიმე საქციელს?
13. ცდილობთ, არ იფიქროთ სიკვდილზე?
14. თქვენ, ჩვეულებრივად, გირჩევნიათ წიგნები ადამიანებთან ურთიერთობებს?
15. ლოგინში ძილის წინ აღმერთებთ ოცნებას?
16. გიყვართ გარშემომყოფებთან ჩივილი ცხოვრებაზე ან უზიარებთ მათ საკუთარ პრობლემებს?
17. თუ გაქვთ ჩვეულება – ჯერ გადაათვალიეროთ მთელი გაზეთი (ჟურნალი) და მხოლოდ მერე დაიწყოთ შერჩეული სტატიების კითხვა?

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

85-75 ქულა. თქვენ გარკვეულწილად ემალებით სინამდვილეს, ამჯობინებთ კი არ გადაწყვიტოთ პრობლემები, არამედ იქიდან წახვიდეთ თქვენი ფანტაზიების სამყაროში. თუ გსურთ გვერდი აუაროთ უსიამოვნებებს, საგნებსა და ამბებს რეალურად შეხედეთ. მხოლოდ ასე შეგიძლიათ მიაღწიოთ შედეგებს, განახორციელოთ ზოგიერთი თქვენი ოცნება.

70-55 ქულა. გარკვეული რისკი – მიეცეთ თავდავიწყებას საკუთარ ოცნებებში წასული – თქვენთვის არსებობს. თუმცა მთლიანად თქვენ გაქვთ უნარი – საღად შეაფასოთ მომხდარი ამბები. ეცადეთ მეტი ყურადღება დაუთმოთ შემოსულ ინფორმაციას და სიტუაციის ჩაფიქრებულ ანალიზს, ეს მოგცემთ შესაძლებლობას გაცილებით უფრო ეფექტიანად გადაწყვიტოთ რთული პრობლემები!

50-30 ქულა. თქვენ ბევრ რამეში შეძელით მოგენახათ ოქროს შუალედი ილუზიებსა და რეალობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის დამახასიათებელია ერთგვარი ოცნება, თქვენ სავსებით უხამებთ მას არსებულ შესაძლებლობას.

25-0 ქულა. იქნებ, მიგაჩნიათ, რომ როდესაც ფანტაზიას ეძლევით – მაშასადამე, ამაოდ კარგავთ დროს? თუ ეს ასეა, ეს მიდგომა მთლად სწორი არაა. გონივრულ საზღვრებში ფანტაზიები მეტად სასარგებლოა. უფრო იოლად აღიქვით გარემო სინამდვილე, მოეკიდეთ მას ერთგვარი იუმორით, მაშინ ნებისმიერი კრიზისიც აღარ მოგეჩვენებათ დამაშინებლად. და ზოგჯერ აუცილებლად მიეცით თავს ფანტაზირების ნება, რაც დაგეხმარებათ უფრო სრულად გახსნათ თქვენი შემოქმედებითი პოტენციალი.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ერთი სირჩა არაფი საკმარისია იმისთვის, რომ მყისიერად გავითიშო და მოცელილივით წავიქცე.

– რას ამბობ, კაცო?!

– დიახ, ასეა. ჩვეულებრივ ეს მეოცე ან ოცდამეერთე სირჩაა.

* * *

– რა უფრო მეტად მოგწონთ, ღვინო თუ ქალი? – ეკითხებიან ფრანგს.

– გამოშვების წელს გააჩნია.

* * *

მიდის ებრაელი ერთ საწარმოში და კითხულობს:

– თქვენთან ებრაელები მუშაობენ?

– მუშაობენ.

ებრაელი უხმოდ შეტრიალდება, მიდის მეორე საწარმოში და კითხულობს:

– თქვენთან ებრაელები მუშაობენ?

– არა.

ებრაელი ამ საწარმოში იწყებს მუშაობას.

თითქმის ერთი თვის შემდეგ თანამშრომლები ამჩნევენ, რომ იგი საერთოდ არაფერს არ აკეთებს. ხელმძღვანელობაც დაინტერესდა მისი უსაქმურობით.

– თვითონ არ მითხარით, რომ თქვენთან ებრაელები არ მუშაობენ? – უკვირს ებრაელს.

* * *

მუდამ ვლოცულობდი და ღმერთს ვევედრებოდი, რომ კარგი ქმარი შემხვედროდა. მომცა კიდეც ღმერთმა კარგი ქმარი. აი, ჩემი ქმარი კი საერთოდ არ ლოცულობდა. ამიტომაც შეხვდა მას ის, ვინც შეხვდა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე